ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | პარასკევი 18 ივნისი 2004 №138 (2157) | ფასი 50 თეთრი

ინგლისის ნიჭი: ჯიდენ ბეკერ ქრთი

ხორვატია 2: 0 სუფრანგეთი

ეკადრებათ ფრანგებს ხელის ბიჭობა?



თფუ

უეფამ ტოტის სამი თამაში მიაფურთხა

დღეს ფრანჩესკო ტოტი ტრიბუნაზე იჯდება, ის სამი თამაშით მოკვეთეს იტალიის ნაკრებს. ლისაბონის ერთ-ერთ სასტუმროში გამართულ უეფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ბრალდება ფეხბურთელის ოთხი თამაშით დასჯას ითხოვდა, მაგრამ ვექილმა თავისი სიტყვა თქვა და მოსამართლეებს ერთი დააკლებინა. ტოტის დანაშაული საყოველთაოდ ცნობილია, იტალიისა და დანიის შეხვედრაში მან კრისტიან პოულსენს შეაფურთხა.

ოტო ბარიჩი

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ჩემპიონატზე მსაჯები დიდ გუნდებს პატარების დამარცხებაში ეხმარებიან

ხორვატია 2 — 17 ივნისი, ბ ჯგუფი, II ტური, ლეირია, მაგალიაეშ ჰესოა — 2 საფრანგეთი

0:1 ტუდორი (22ს.ჯ.), 1:1 რაპაიჩი (48ჯ), 2:1 პრსო (52), 2:2 ტრეზეგე (64)

12 გუტინა

21 რ. კოვაჩი, 5 ტუდორი

13 შიმიჩი, 3 შიმუნიჩი

10 ნ. კოვაჩი, 20 როსო

22 ბიელიცა, 7 რაპაიჩი

9 პრსო, 11 შოკოტა

მწვრთნელი: ოტო ბარიჩი

შეცვლა: ბიელიცა — 15 ლეკო (68), შოკოტა — 18 ოლიჩი (73), რაპაიჩი — 19 მორნარი (87)

16 ბარტეზი

15 ტურამი, 8 დესაი

5 გალასი, 13 სილვესტრი

4 ვიეირა, 17 დაკური

11 ვილტორდი, 10 ზიდანი

20 ტრეზეგე, 12 ანრი

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

შეცვლა: ვილტორდი — 7 პირესი (70), დაკური — 18 პედრეტი (79), გალასი — 19 სანიოლი (81)

გაფრთხილება: ვიეირა (32), ტუდორი (39), დაკური (59), როსო (61), რ. კოვაჩი (65), ლეკო (78)
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია). 30 000 მაყურებელი

ჯარიმა: 20-13; კუთხური: 2-9; კარისკენ დარტყმა: 4-7; კარში დარტყმა: 5-9; თამაშგარე: 4-3

ჟაკ სანტინი

ახლა შვეიცარიასთან მოგებაზე უნდა ვიფიქროთ. ჯიდეკ ერთხელ გამოჩნდა, რომ ფეხბურთი მოულოდნელობითაა სავსე. ინგლისთან ორი სწრაფი გოლი გავიტანეთ, ამჯერად ჯი ხორვატიამ იგივე დაგვმართა. ფინალაში გასვლა თუ გვსურს, მსგავსი შეცდომები არ უნდა დავუშვათ.

პაატა კვანტალიანი

ტრეზეგეს სახელობის ფრე

საფრანგეთი ზიდანის ფეხზე ჰაიდია

ჯერჯერობით ასეა — საფრანგეთი ზიდანის ფეხს და ტრეზეგეს ხელს გაჰყავს ჯგუფიდან. ზიდანის ფეხი ცალკე სასაუბრო თემაა, ისევე როგორც ტრეზეგეს ხელი.

ხელით დავიწყოთ: ბოლო ტურში ხორვატიას ჯგუფიდან გასაღწევად უპირობო გამარჯვება სჭირდება ინგლისთან. არადა, სამეოთხედფინალოდ ბრიტანელებთან ქულაც ეყოფოდა, რომ არა მსაჯთა უხეში შეცდომა. 63-ე წუთი იყო, რაპაიჩი რომ შეცდა — მეკარეს გაუგორა ბურთი, იქ კი ტრეზეგე იყო ჩასაფრებული, მაგრამ წამით დაასწრო კარიდან გამოვარდნილმა ბუტინამ ფრანგს, ჩაწოლილმა ბურთს დაჰკრა და ეს ბურთი აუტში გადავიდოდა, ტრეზეგეს ხელი რომ არ აფარებოდა... ანგარიში გათანაბრდა. ხორვატები დიდხანს ირტყამდნენ ხელს ხელზე, მაგრამ მსაჯის ხელი ცენტრისკენ იყო მიმართული. აქ კი ის უნდა ვთქვათ, რომ ფეხბურთი კალათბურთი არ არის, წამდაუწუმ ეხვეოდეს ბურთი ბადეში. ფეხბურთში ერთ გოლს, მით უფრო ასეთ ტურნირზე, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ზოგიერთისთვის კი საბედისწეროც. წუხელ მსაჯთა შეცდომებმა (იმ ეპიზოდში თანამსაჯმაც დიდად მიჰქარა), ხორვატებს ნამარი წაუმურდლა.

ზიდანის ფეხზეც ვთქვათ: საფრანგეთს ჯერჯერობით ოთხი გოლი აქვს პორტუგალიურ მწვანეზე გატანილი. იმ ოთხიდან ერთი ხომ მსაჯებმა გაატანინეს ტრეზეგეს, სამიც ნაღდი კი ზიდანისაა. ზიდანი ზღაპრული ჯინივითაა, ყველა სურვილს უსრულებს საფრანგეთს. დახვეულ-დაკოკოჭინებული ჯარიმა ინგლისთან, იქვე პენალტი და ჯარიმიდანვე დატრიალებული, ნებისმიერი მეკარისთვის დამხვრეტი დარტყმა ხორვატიასთან. ამ გოლებიდან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ზიდანი ბრწყინვალეა, საფრანგეთს კი გათამაშებულ-გაზრეული კომბინაციის შედეგად გოლი ჯერაც არ გაუტანია. ამ მეორე დასკვნას თუ გავყვებით, ბოლოს ჟაკ სანტინის უნდა მივუკაკუნოთ, თუმც, სჯობს, ისევ „ზიზუს“ დავუბრუნდეთ და ის ბოლო პასი გავიხსენოთ, ანრის კუთხურს რომ მიაყოლა ზღაპრული ქუსლურით. ბრიყვია უილიამ გალასი — ასეთი პასის მერე ვერგატანას მარტო ბრიყვები თუ მოახერხებენ.

ჟაკ სანტინიმ დაუწერელი საფეხბურთო კანონი არად ჩააგდო და ინგლისთან მოგებული შემადგენლობა შესამჩნევად შეცვალა. ხორვატებთან ფრანგთა ძირითადში დესაი, დაკური და ვილტორდი გამოჩნდნენ.

„მამლების“ თამაში ზიდანზე იყო აწყობილი. რეალელიც ხან ფლანგიდან, ხანაც ცენტრიდან ხვრეტდა ხორვატებს, რომელთაც პირველ ტაიმში ომის სურვილი არ დასტყობიათ. მერე კი იყო ის ჯარიმა, გოლი რომ მოჰყვა. ზიდანმა დაატარიალა და ტუდორის ფეხიც დაიხმარა — 1:0.

სამეორეტაიმოდ ოტო ბარიჩმა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო. მცველებთან მარტოდმარტო მოჯაჯგურე დადო პრსოს ჯოვანი როსო წაახმარა შეტევაში. როსო ვინ არის, ებრაულ „მაკაბიში“ მობურთავე ერთი ჩვეულებრივი თავდამსხმელია, მაგრამ წუხელ ჯიგარი დადო თამაშში, ომი იყო და იომა...

49-ე წუთი იყო, როსო, თბილისშიც რომაა ნამყოფი, მეტეორივით შევარდა ფრანგთა საჯარიმოში და სილვესტრიც წაიხმარა წაქცევაში. პენალტი! რაპაიჩს მიზანი არ შეშლია — 1:1. ომი წინ იყო...

ანგარიშის გათანაბრებიდან ოთხ წუთში დადო პრსომ როსოს პასი შერგო, აცუნდრუკებულ დესაის კლაკნა აცალა და ტყვიასავით გაურჭო ბარტეზს ცხრიანში. ხორვატია დაწინაურდა. არ იყო პატარა ამბავი — გაზულუქებულ ვარსკვლავ-მეტოქეს მუშა გუნდი უგებდა.



REUTERS ლუირიადან

დავიდ ტრეზეგე

საფრანგეთი გასათანაბრებლად გაიწია, მაგრამ ხორვატიაც მაგრად დადგა და ისიც დაიტყო, რომ ბოლომდე დამდგომი იყო... და ტრეზეგეს ხელი — 2:2.

ფსიქოლოგიური უპირატესობა ფრანგებისკენ გადავიდა. ეს უპირატესობა იგრძნეს „მამლებმა“ და ერთი ორჯერ მწარედ ჩაანისკარტეს მეტოქე, მაგრამ ხორვატებს რა გაარერებდა... პრსო ჯიუტად იწევდა ფრანგთა კარისკენ. ერთხელ ბარტეზმა წაიბარტეზა, დაჭერილი ბურთი საჯარიმოში დააგდო და პრსომ ველარ გაქაჩა. მერე კი იგივე პრსო მეკარესთან პირისპირ გავიდა საგოლედ, მაგრამ თანამსაჯის მიერ უნამუსოდ აღმართულმა ალამმა შეაჩერა — გამეორებაზე გამოჩნდა, რომ თამაშგარე არ იყო.

ხორვატებს გამოტირებულიც არ ჰქონდათ ეს მომენტი, საფრანგეთმა ლამის მესამე რომ შეაგდო. ოცწამიან მონაკვეთში ბუტინამ სასწაულებრივ აიღო ჯერ პირესის, მერე კი ანრის დარტყმული ბურთები. ბოლო აკორდი კი მაინც ხორვატებისა იყო. წინა მატჩში შვეიცარიელებთან ბაღიდან გაპარული ბავშვივით უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ივიცა მორნარმა ზედ საფინალო სასტვენის წინ ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან. ოლიჩის ფლანგური ჩაშხუილებისას კარიდან ხუთ მეტრში მორნარს ბურთი და წაქცეული ბარტეზი შერჩა და მაინც ააცილა.

2:2 და კიდევ ერთი ომი: წინ ინგლისი — ხორვატია.

REUTERS ლუირიადან

მილან რაპაიჩის პენალტი აუღებელი იყო

სვენ გორან ერიქსონი

უეინ რუნიმ ჯი ფანტასტიკურად ითამაშა. მხლოლოდ გოლებს არ ვგულისხმობ. მთლიანად მის თამაშში უდიდესი პროფესიონალიზმი აშკარად ჩანს

ინგლისი 3 — 0 შვეიცარია

17 ივნისი
B ჯგუფი. II ტური
ლიმბრა. სიდადე დე ლიმბრა

1:0, 2:0 რუნი (23, 75), 3:0 ჯერარდი (82)

1 ჯეიმსი

5 ტერი, 6 კემპბელი

2 გ. ნევილი, 3 ე. კოული

4 ჯერარდი, 11 ლამპარდი

7 ბექემი, 8 სქოულზი

10 ოუენი, 9 რუნი

მწვრთნელი: სვენ გორან ერიქსონი

შეცვლა
სქოულზი — 18 ჰარგრივსი (70), ოუენი — 23 ვასელი (72), რუნი — 20 დაიერი (83)

1 შტილი

5 მ. იაკინი, 20 მიულერი

2 ჰაასი, 17 შპიხერი

16 სელესტინი

18 ჰუგელი, 8 ვიკი

10 ჰ. იაკინი

11 შაპუიზა, 9 ფრეი

მწვრთნელი: იაკობ კუნი

შეცვლა
შაპუიზა — 15 გიგაქსი (46), სელესტინი — 7 კაბანასი (54), ჰ. იაკინი — 22 ვონლანტენი (84)

გაფრთხილება: რუნი (18), სელესტინი (23), ჰაასი (49), ჰაასი (60)
გაძევება: ჰაასი (60)
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი). 30 616 მაყურებელი

ჯარიმა: 18-19; კუთხური: 0-5; კარისკენ დარტყმა: 2-7; კარში დარტყმა: 9-5; თამაშგარე: 4-2



ერთვნული გიბლიოთეკა

იაკობ კუნი

ზედიზედ ორი თამაში ათი ჯაცით დავამთავრეთ. მეორე გოლამდე მსაჯს ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა უნდა დაენიშნა. ცხადია, მირჩევნია თერთმეტით თერთმეტის წინააღმდეგ ვითამაშოთ, ვიდრე ათით – თორმეტთან

Euro 2004 PORTUGAL

გიორგი დარჯანია

რანი არიან ინგლისელები? რუნი

მეტი რა ქნას ამ ბიჭმა, 18 წლისა და შვიდი თვისაა და უკვე მესამე რეკორდი მიითვალა. ჩვიდმეტისა იყო, როცა ინგლისი ნაკრების ყველა დროის უყრმესი ფეხბურთელი გახდა. ძალიან მალე ნაკრების ყველა დროის უყრმეს მეგოლედაც შეიქნა და აგერ ახლა — ევროპის ჩემპიონატის ისტორიაში მასზე ახალგაზრდა ფეხბურთელს გოლი არ გაუტანია.

თქვენ, ცხადია, მიხვდით, რომ ლაპარაკი უეინ რუნიზე გვაქვს.

მატჩი, რომელშიც ინგლისს წაგების უფლება არ ჰქონდა, შვეიცარიელთა ასე თუ ისე სახიფათო იერიშით დაიწყო. ჰაკან იაკინის ჯარიმის ჩაწოდების მერე სტივენ ჯერარდმა ბურთი კუთხურზე კი მოიგერია, მაგრამ ისე, რომ კარს სულ ოდნავ გადააცილა და კინაღამ ორგზის ანტიგმირი შეიქნა — რა გააკეთა მან საფრანგეთთან, ცხადია, გახსოვთ.

რომ ვამბობთ, ინგლისს წაგების უფლება არ ჰქონდაო, რა თქმა უნდა, არც შვეიცარიას ჰქონდა, მაგრამ ერთი, რომ სად ინგლისი და სად შვეიცარია და მეორეც — შვეიცარიელებმა ინგლისელთა კარისკენ მეტნაკლებად ხეირიანად, სულ ორჯერ დაარტყეს, ანუ შვეიცაარის გამარჯვება ფანტასტიკის ჟანრიდან იქნებოდა.

ბდღვინავდნენო, ვერც ინგლისელებზე ვიტყვით, თუმცა მათ ეს უბრალოდ არც დასჭირვებიათ. თუ გნებავთ, ციფრებით ვილაპარაკოთ: ინგლისი შვეიცარიელთა კარს ჩვენი ანგარიშით, სახიფათოდ სულ ხუთჯერ დაემუქრა და ამ ხუთი ეპიზოდიდან სამ გოლს გამორჩა.

ზემოთ ჯერარდის უხეიროდ მოგერიებული რომ ვახსენეთ, მომდევნო გამოსარჩევი ეპიზოდი რუნის პირველი გოლი გახდა. დევიდ ბექემმა ბურთი ფლაგნზე მიიღო, საჯარიმოსკენ გაიხედა, სადაც მაიკლ ოუენი ხელებს იქნევდა, პასი მომეციო. ბექემმა ეს დაინახა, შვეიცარიელმა მცველებმა — ვერა, რაკი მთელი ყურადღება რუნიზე ჰქონდათ გადატანილი. ბექემმა, რა თქმა უნდა, ზუსტად ჩააწოდა, ოუენმა კი რუნის თავზე დაასვა და რეკორდიც გამოცხვა.

„უბრალოდ შეუძლებელი იყო, ვერ გამეტანა“ — თქვა რუნიმ, დეკორდზე ლაპარაკს კი გვერდი მოკრძალებით აუარა.

მეორე გოლი კი რუნიმ ასე შეაფასა: „რაღაც საოცარი ძალით დავარტყი, ვერც ვიხსენებ, ოდესმე ასე ძლიერად დამერტყას.“

ეს გოლი ასე გავიდა: რუნიმ ათიოდე მეტრიდან დაარტყა, ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, მერე მეკარე შტილს და ისე შეგორდა კარში.

რუნიმ ერთხელაც გამოიჩინა თავი, ოღონდ სხვა კუთხით — ერთ ეპიზოდში მეკარეზე გაშლილი ფეხით წავიდა და იორგ შტილს ნაღდად ბედი ჰქონია, უცხვიროდ რომ არ დარჩა.

მესამე გოლი გარი ნევილის და ბექემის კომბინაციას მოჰყვა, საბოლოო დარტყმა კი სტივენ ჯერარდისა იყო.

შვეიცარიელებს ამ მატჩშიც გაუძევეს ფეხბურთელი, მცველი ბერნტ ჰაასი, რომელიც იქამდე იქადნებოდა, მოვკვდები და გამარჯვების გოლს გავიტან, თუგინდ მერე ინგლისში აღარ ჩამიშვანო. გავიხსენოთ, რომ ჰაასი პრემიერლიგაში აღზევებულ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“ თამაშობს.

ნამატჩევს სვენ გორან ერიკსონმა თქვა: „ძნელი სათქმელი იყო, საფრანგეთთან ბოლო წუთზე დამარცხება ფეხბურთელებზე როგორ იმოქმედებდა. ვფიქრობ, პირველ წუთებში ნერვიულობა, სწორედ წინა მატჩის მერე გამოყოლილი შოკის ბრალი იყო. უეინ რუნიმ კი ფანტასტიკურად ითამაშა. მხლოლოდ გოლებს არ ვგულისხმობ. მთლიანად მის თამაშში უდიდესი პროფესიონალიზმი აშკარად ჩანს.“

საფრანგეთი	2	1	1	0	4:3	4
ინგლისი	2	1	0	1	4:2	3
ხორვატია	2	0	2	0	2:2	2
შვეიცარია	2	0	1	1	0:3	1

III ტური: 21 ივნისი
ხორვატია — ინგლისი
შვეიცარია — საფრანგეთი





ბიო ახალგაზრდა პორტუგალიელ

სამი ნამდვილი ფ

ფატიმა ფეხბურთი ფადო

ეს რა მოლოდინი შესძლებია პორტუგალიას. როგორი ჩუმი, მთმენი და თითქოს შემცბარიც კი. რუსებს უფრთხოდნენ: პორტუში ერთ კაცს ვერ იპოვიდი, რომ ეთქვა, ეგენი სუსტები არიან და გადავუვლითო. ალბათ, სხვაგანაც ასე იყო. რუსია? და გადააქნევდნენ თავს. რაც იმას ნიშნავდა, რომ ძალიან უფრთხოდნენ. ვნერვიულობთო, ჩვენი ბიჭები კარგი ბიჭები არიან, მაგრამ რახან შინ თამაშობენ, ნერვიულობენ, ჩვენ გახარებაზე ფიქრობენო. ასე ამბობდა მართლა ყველა, ვისაც გამოელაპარაკებოდი, თავქარიანი ახალგაზრდების გარდა. აქ რა იყო და, ლისაბონში რა იქნებოდა.

ალენიჩევსაც დიდად ვერ წირავდნენ, ჩვენიანიაო და თან ეშინოდათ მისი, მაგარია, ისე როგორ იქნება ჩვენიანიო.

ხუთის ნახევრიდან ქალაქი მოკვდა, თუ გაისმოდა რამე ხმა, მხოლოდ მანქანის გაშხუილებისა. ვინც სახლში იყო, სახლში იყო. აქ კაფეებში ტელევიზორები არ არის, ვინც გარეთ გამოსულიყო და ყველას ჟუაუ პირველის მოედანზე მოეყარა თავი, სადაც დიქტატურისდროინდელ ორ იდიოტურ ცხენის ქანდაკებას შორის დგას უშველებელი ეკრანი. ეს აღგილი ისედაც ფანობის თავშესაყარია და ყველა ქვეყნის მოხეტიალე გულშემატკივარიც აქ ირევა ხოლმე. ამჯერად, ვინც იყო უცხოელი, ყველა პორტუგალიას ქომაგობდა, რადგან შეუძლებელი იყო, არ გექომაგა და ერთხელ მაინც არ დაგეყვირა:

პურტუგაალ!

ეულად ჩანდა ათიათას კაცში სამი რუსის მუშა, რომლებიც პორტუგალიაში მსახურობენ მშენებლობაზე და თავიდან საერთოდაც პორტუგალიელები გეგონებოდნენ, თუმცა იმათთვის გადაბრუნებული არავის უთქვამს რამე, თუ არ ჩავთვლით ერთი ქართველის დაძახილ პასუხს, როცა იმათ დასცხეს, რასია, რასიაო. იქ იყვნენ ლატვიელები და ხორვატებიც, ვინც გვარიან ანტირუსულებს შემოსძახებდნენ ხოლმე, ოღონდაც, არა რუსულად.

ასე იყო თუ ისე, პორტუგალია ელოდა.

ერთგვარი წინათგრძნობით ამოჩემებული მქონდა, რომ მასპინძლები 3:0-ს მოიგებდნენ და გოლებს კი მანიშე, დეკო და ნუნუ გომეში გაიტანდნენ. ჰე-ჰეი! მანიშემ ხომ ჩაუცურა კოხტა, მაგრამ ეს როგორი მოლოდინი შესძლებია პორტუგალიას.

ყრუ ქუჩაზე ბოლთის მცემელ პოლიციელს ჯიბის რადიო მიედო ყურზე და ერთ წერტილს მიშტერებოდა. 20 ტაქსისტი ერთი მანქანის გარშემო შეკრებილიყო. ბებია მტრედებს აჭმევდა და გაფაციცებით აყურადებდა ჟუაუ პირველის მოედნიდან მოვარდნილ ტაშისა და გუგუნის ხმას. პატარა გოგოებს წელზე ერტყათ ჭრელი შარფები და არ წიოდნენ, მხოლოდ ხტოდნენ, რათა ეკრანის კიდე მაინც დაენახათ. კაფეთა ტერასები ცარიელი, დახლები მეთვალყურეთა გარეშე, მედუქნეები უკანა ოთახებში, ტელევიზორებთან, მაღაზიები დაკეტილი...

ეს როგორი სიხარული შესძლებია პორტუგალიას. ოკრობოკრო ქუჩებზე დაფენილი დროშები და გვირაბები, ბიჭები რომ აკეთებენ დროშებით მთელს აღმართზე, რათა ქვეშ თავიანთი გოგოები გაატარონ. დეიდა ჟულია ალვარეშ ლუნას შეძახილი, გრანდე, გრანდე პურტუგალ და აივნიდან გადმოკიდებული ასი წლის კაცი დროშით, „პორტუს“ დროშით: მანიიიშ, მანიიიშ... უცებ გატენილი კაფეები და მანქანების სიგნალი. გაუთავებელი სირენები და ხმაშეწყობილი გუგუნი ჟუაუ პირველის მოედანზე... განა ავადმყოფი არ უნდა იყო, რომ ამ თამაშს „დრაგაუს“ პრეს-ცენტრში უყურო?

გამხდარი, უშველებელი სკოლარი ტელეეკრანზე, და რუი კოშტა, რომელიც ამბობს, რომ პორტუგალია ახლალა იწყებს ნამდვილ თამაშს.

მაგრამ მანამდე კი სულ სხვა რამ იყო. პორტუს აღმოსავლეთში, „ბესას“ სტადიონზე, სადაც თამაშობს „პორტუს“ უმცროსი ძმა „ბოავიშტა“, ესპანელები და ბერძნები ერთმანეთს დაუზავდნენ, თუმცა თამაში საზავო არ იყო. ამის მიუხედავად, ორივე გუნდის გულშემატკივრები, ასე, 15 ათასი ესპანელი და 3 ათასამდე ბერძენი, ხარობდნენ. ამათი ფრე ხომ იმას ნიშნავდა, რომ პორტუგალია ერთი მატჩით ადრე იწყებს პლეი ოფს, ანუ თავი რომ მართლა დაიგულოს მეოთხედფინალში, ესპანეთი უნდა დაამარცხოს. ეს კი ოჰ, ოჰო, ამ გუნდების ორორი მატჩის ხილვის შემდეგ ცოტა ძნელი დასაჯერებელია.

ჩემი მხრივ კი იმას მოგახსენებთ, რომ ძალიან ძნელია იჯდე ოტო რეჰაგელის შორიახლოს და თამაშს გულდადინჯებით უყურო და ჩაუღრმავდე. ასეთი ბილეთი მერგო და სიმართლე ითქვას, არც მინანია. საიდან ამდენი ენერგია დეტალებისთვის და წვრილმანებისთვის? ფრანგები იტყვიან, მთავარი დეტალებიაო და ოტოც დიდ რაღაცაზე არ ბრაზობს, დიდ რაღაცეებს არ უღრიალებს. ის პატარებზე გიჟდება, იცის, რომ ამ პატარებისგან აეწყობა დიდი მძივი. საოცარია, საოცარი, წარმოუდგენელია.

ამკრძალავი ხაზი მისთვის არაფერია (ეს რუდი ფიოლერსაც შეკამჩნიე), ის საბრალო მეოთხე მსაჯი მისთვის ადამიანი საერთოდ არ არის, გვერდითი მსაჯი კი მტერია. ძნელი სათქმელია, რა ესმით ოტოს გერმანული ღრიალისა ბერძენ ფეხბურთელებს, მაგრამ კარგად კი თამაშობენ და რას იტყვი. ელინი თანაშემწენიც ისე დაუგეშავს, რომ თამაშის ოფიციალებს მათთან არანაკლები ბრძოლა უწევთ. ოტო წამოვარდება თუ არა, მსწრაფლ მიჰყვება ოთხი თანაშემწე და ყველანი ერთად ღრიალებენ.

აი, ინაკი საესი კი მშვიდი კაცია, დგას და ღიპს იქექავს ხოლმე. გამუდმებით ზის სვენ გორან ერიკსონი, სკოლარი დგება და ჯდება. სანტინი სამწვრთნელოს სახურავს ჩამოადებს ხოლმე იდაყვს და ასე დგას მთელი თამაში. ყველას თავისი სიმყუდროვე აქვს, ჩვენ კი ის აღვნიშნოთ, რომ პორტუგალია ვერა ჩანს ისეთი გუნდი, დიდი ამოცანა რომ გადაწყვიტოს.

აქაურები ამას იმ შეუსაბამობით ხსნიან, რომ სკოლარი სულ სხვაგვარი ფეხბურთის ტრფიალია, პორტუგალიური ფეხბურთი კი წარმოუდგენლად შემტევია და მცველობა მხოლოდ ცხოვრების კვანტისტრიალით გამოწვეული პროფესიაა, თორემ ისე ყველა პორტუგალიელი შემტევია. ძალიან დაცვაში დაგვაყენა ამ უხეშმა და უზრდელმა კაცმაო, დაიჩივლებენ აქაურები, შედეგად კი ის გამოდის, რომ დაცვაში ვერ ვდგავართ და წინ წასულები კი იმას ვფიქრობთ, ვაიმე, დაცვაში ვერ ვდგავართო.

საერთოდ კი, სკოლარის მწვრთნელობამ არ გაამართლა. ეს უკვე აშკარად იგრძნობა. თვითონაც როგორღაც ნირწამხდარი ჩანს. აკი მოგახსენეთ, შესამჩნევად გახდა-მეთქი.

თუმცა ევრო 2004 მხოლოდ ჩემპიონობის მოლოდინს არ ნიშნავს პორტუგალიისთვის. ეს დიდი საჩუქარია უეფასგან, მთელი ერთიანი ევროპისგან. ევროპა ეხმარება თავის ყველაზე ღარიბ ქვეყანას, სადაც მოსახლეობის 20 პროცენტი ოფიციალური ღარიბია, სიმდიდრესა და სიღატაკეს შორის ზღვარი კი არცერთ სხვა ქვეყანაში ასეთი არ არის. ჩემპიონატის მასპინძლობა დიდი შემოსავალია, ყველა პორტუგალიურ ქალაქში დიდი მშენებლობებია გახურებული და საერთოდ, ეს ქვეყანა ყველანაირად ცდილობს საერთოევროპულ ტემპს აჰყვეს.

მაგრამ ევრო 2004-ს სხვა მნიშვნელობაც აქვს. ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიული პორტუგალია აღიარებს ფეხბურთს, როგორც თავისი ისტორიის ნაწილს. ბარე 20 წელიწადს ფეხბურთი წარსულის საზიზღარ გადმონაშთად ითვლებოდა და აი, რატომ:

დიქტატორ სალაზარს ჰქონდა ლოზუნგი: ღმერთი, ოჯახი, ერი. რაიც ეროვნულ იდეოლოგიას განასახიერებდა.

ხოლო სულიერ ამბავში მას სამი ფ-ს ერთობა დაესახა ერისთვის:

ფატიმას წმინდა ღვთისმშობელი — სულისთვის, ფეხბურთი — ეროვნული დიდებისთვის და ფადო — ლისაბონური ხალხური სიმღერა სიყვარულისთვის.

ფატიმა ქალაქია შუა პორტუგალიაში და იქ კათოლიკური როჭიკობის ერთ-ერთი დიდი ცენტრია ევროპაში. ამბობენ, რომ აქ 1917 წელს სამ პატარა მწყემსს ღვთისმშობელი გამოეცხადა. მეტი რა გინდა, თვით რომის პაპმა თქვა, ტყვია რომ მესროლეს, ფატიმას ღვთისმშობელმა გადამარჩინაო.

60-იან წლებში კი პორტუგალიურმა ფეხბურთმა არნახულ წარმატებებს მიაღწია: „ბენფიკამ“ და ნაკრებმა მსოფლიო დაიპყრეს და დიქტატურამაც წამსვე ამოიყენა ფეხბურთი რეჟიმის ერთ-ერთ სიმბოლოდ. ხოლო ფადო დიქტატურამ ხალხის ერთადერთ გულისთქმად დასახა.

და ჰა, რევოლუციურმა მოძრაობამ იმარჯვა, პორტუგალია გათავისუფლდა, და ეს სამი რამ ძველი რეჟიმის მსახურებად დაისახა: ეკლესიამ გავლენა და ავტორიტეტი დაკარგა, ფეხბურთი ჩაეშვა და სამარცხვინო, დამაბნელებელ რამედ იქცა, ფადო კი არ ჩაითვალა პორტუგალიური კულტურის სიამაყედ.

მაგრამ ჰა, გავიდა დრო და მემარცხენე რევოლუციონერები დამშვიდდნენ, ხოლო პორტუგალიამ დაიბრუნა თავისი ეკლესიაც, რომელსაც არანაირი გავლენა აღარ აქვს, მაგრამ აქვს პატივისცემა, მან დაიბრუნა თავისი ფეხბურთიც, ოღონდ როგორც უბრალოდ ნამდვილი კარგი ფეხბურთი და არა ვიღაც გამოტვინებული პოლკოვნიკების იდეოლოგიის იარაღი და მან დაიბრუნა ფადოც, არა როგორც ხალხის ერთადერთი გულისთქმა, არამედ, როგორც პორტუგალიელთა ხალხური განცდის ერთ-ერთი გენიალური გამოხატულება. სამივე ფ გათანამედროვდა და ყოველგვარი შავი ამბავი მოიცილა. ერთი ეს არის, რომ დიქტატურის ხელიხელსაგომანები გუნდი „ბენფიკა“ ვერაფრით გაიმართა წელში და ჩემპიონატში და მსოფლიოში „პორტუმ“ იძალა, რაც, ჩემი ჭკუით, ასევე სიმბოლურია. ხოლო „ლუზზე“ დგას ეუსებიოს ქანდაკება. ეკუთვნის, მე თუ მკითხავთ, არავინ იხსენებს, როგორ დაატარებდნენ ეუსებიოს მთავრობაში.

რაც შეეხება სიმღერას, მიბრძანდით ლისაბონში, მურაურას უბანში, სადაც ეს სიმღერა, სამბასა და ფლამენკოს უცნაური ნაზავი ცხოვრების წესია და სადაც იშვა ქალის სამიჯნურო ღიღინი სახელად ფადო, ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინათ. მიბრძანდით და უსმინეთ. განსაკუთრებით კარგად მღერიან მოზამბიკელი პუტკუნა ქალები. ვთქვათ, მსრიჟა ან მიშია.

მუღამიანი სიმღერაა.

დაველოდოთ მუღამიან ფეხბურთსაც.

C ჯგუფი. II ტური. დღეს

ბრაგა. მუნიციპალი. 21.00

ბულგარეთი – დანია

სავარაუდო შემადგენლობები

ზდრავკოვი; ვ. ივანოვი, კირილოვი, პაუინი, ი. პეტკოვი; პეევი, ს. პეტროვი, ხრისტოვი, მ. პეტროვი, დიმიტროვი; ბერბატოვი

სორენსენი; ჰელვეგი, ლაურსენი, ჰენრიკსენი, ნ. იენსენი; რომედალი (ან გრონკიაერი), გრავესენი, პოულსენი (ან დ. იენსენი), იორგენსენი. ტომასონი, სანდი

მსაჯი: ლუსილიუ პორტეს ბატისტა (პორტუგალია)

ნუ იქნება ოლონდ ბუნტი!

ბულგარელებმა 0:5 სერბს შეარმცინდეს

ბუნტია ბულგარელთა ბანაკში. ფეხბურთელები მწვრთნელ პლამენ მარკოვს გაუხტნენ, ეს ნატურალიზებული იდიოტი მოგვაშორეო. საქმე კი ისაა, რომ შვედეთთან გასაზიზღრების შემდეგ ბულგარელმა ფეხბურთელებმა, თითქოს პირი შეკრესო, განტევების ვაცად პრედრაგ პაჟინი აქცია. პაჟინი ტომით სერბია და შვედეთთან ცენტრალურ მცველად ათამაშა პლამენ მარკოვმა. ჰოდა, ხუთივე გოლი ლამის ამ საცოდავ პაჟინას აჰკიდეს თანაგუნდელებმა. სახელდახელო კრება ჩაატარეს, დასკვნაც ჩამოაყალიბეს და კაპიტანი სტილიან პეტროვი მწვრთნელთან შეგზავნეს ერთადერთი ულტიმატუმით — პაჟინი ნაკრებიდან მოიკვეთოსო.

ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბულგარელებს სურდათ, მოშხდარის შესახებ ინფორმაციას არ გაეჟონა, მაგრამ რეპორტიორებმა რაღაც იყნოსეს, ჰოდა, გასკდა ბულგარელთა ბუნტის ამბავი და ვითარებაც დაიძაბა. პლამენ მარკოვი კი პრინციპული კაცი ყოფილა — პრედრაგ პაჟინი დანიასთან სამატჩო განაცხადში შეიყვანა, მაგრამ ცხადია, რომ ამით სიტუაცია არ განიმუხტა, ყოველივე კი ნაღდად ვერ იმოქმედებს სასიკეთოდ ბულგარელებზე.

მწვრთნელს სხვა საფიქრალიც აქვს: კუნის იტკივებს დიმიტროვი, კოჭი აწუხებს ხრისტოვს და ამათი თამაში სათუოა. მარკოვს კი დანიასთან მატჩის წინ თავი ღირსეულად უჭირავს: „შვედეთთან ცუდად არ გვითამაშია, პირველ ტაიმში საგრძნობ უპირატესობასაც ვფლობდით, მაგრამ მეორე ნახევარში ერთ წუთში გაშვებულმა ორმა გოლმა ავვრია. გოლები კი ბავშვური შეცდომების გამო გაგვიტანეს შვედებმა. ახლა ჩვენი უმთავრესი საზრუნავი სათანადო ფსიქოლოგიური ფონის შექმნაა. რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი დავრჩი ასეთი ანგარიშით წაგებით, მაგრამ შანსი ხომ ჯერაც გვაქვს. შანსს კი გამოყენება უნდა. საამისოდ ბრძოლაა საჭირო და იმედი მაქვს, პირველ მატჩში გულმოკლული ქომაგი არ გაგვწირავს და ბოლომდე გვიერთგულებს“ — ეს თქვა პლამენ მარკოვმა.

ბულგარელთა შემტევმა, 30 სანაკრებო მატჩში 19 გოლის გამტანმა დიმიტარ ბერბატოვმა კი დანიასთან მატჩის წინ დაიწუწუნა, შვედებთან 0:0-ზე პენალტი არ დაგვიდეს, პირველი გოლიც ლიუნგბერგმა თამაშგარედან გაგვიტანო. ბერბატოვს დანარჩენ ოთხ გოლზე არაფერი უთქვამს, მაგრამ დატრაბახება არ დავიწყნია: „ჩვენ ძალას დანიელები გაიგებენ, კუდით ქვას ვასროლინებთ ვიკინგებს“.



პრედრაგ პაჟინი პლამენ მარკოვმა არ გაწირა

დანიელთა ბანაკშიც შევიხედოთ, სადაც ჩინებული განწყობაა. მწვრთნელი მორტენ ოლსენი იტალიასთან უგოლო ფრით კმაყოფილია და თავისი გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილია.

ოლსენს კმაყოფილების საბაბი სხვაც აქვს: ოჯახურ ტრაგედიას მოერია იესპერ გრონკიაერი და დანიელთა დაობლებული მარცხენაფლანგელი დღეს დენის რომედალის ნაცვლად ითამაშებს ძირითადში.

ძირითადს დაუბრუნდა ტომას გრავესენიც, ვინაც დიდი ძალაა ვიკინგთათვის და იტალიასთან მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

პაატა კვანტალიანი

უტოტო იტალიის სამი სახე



C ჯგუფი. II ტური. დღეს

პორტუ. დრაგაუ. 23.45

იტალია – შვედეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ბუფონი; პანუჩი, ნესტა, კანავარო, ძამბროტა; გატუზო, პირლო, ძანეტი (ან პეროტა); კასანო, დელ პიერო, ვიერი

ისაკსონი; ნილსონი, მელბერგი, იაკობსონი, ედმანი; ვილჰელმსონი, ანდეროტი, ა. სვენსონი, ლიუნგბერგი; იბრაჰიმოვიჩი, ლარსონი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)



ფრანჩესკო ტოტი არ იქნება... სწორედ ეს არის ახლა მთავარი იტალიური თემა, რომელიც მნიშვნელოვნად ჩრდილავს „სკუადრა აძურას მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის ყველანაირ გეგმასა და სამზადისს. ტრაპს ცვლილებების მოშველიება დასჭირდება შვედების დასაძლევად. შეგახსენებთ, ტრაპის გუნდმა პირველ ტურში უსახური 0:0 ითამაშა დანიელებთან, შვედებმა კი ბულგარელებს 5:0 მოუგეს.

და რა სჭირს ფრანჩესკო ტოტის? მისი საქმე უეფას სადისციპლინო კომიტეტში გაირჩა, იტალიელმა დანიელ კრისტიან პოულსენს შეაფურთხა და მთელი ევროპის აღშფოთება გამოიწვია. ტოტი სამთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რამაც მის გუნდში ვინძლო, ბევრი რამ ყირაზე დააყენოს და თუ იტალიამ ამის გამო წააგო, არ არის გამორიცხული, ძალიან უსიამოვნო რამ მოხდეს — ერთ-ერთი ფავორიტთაგანი შინ გახდეს გასამგზავრებელი.

ერთი სიტყვით, იტალიელებს პრობლემები აქვთ, შვედები კი პირიქით, დიდ გულზე არიან და იციან, რომ გამარჯვების შემთხვევაში მეოთხედფინალი განაღდებული აქვთ.

თუმცა, დავუბრუნდეთ ტრაპატონის, რომელმაც — .მიაქციეთ ყურადღება — ოთხშაბათის ვარჯიშზე თავდასხმაში ალესანდრო დელ პიეროს, კრისტიან ვიერისა და ანტონიო კასანოს ტრიო ამეცადინა. საინტერესო იყო ნახევარდაცვის ამბავიც. ტრაპმა სიმონე პეროტა და მაურო კამორანეზი სადღაც გადასვა და კრისტიანო ძანეტისთან მხარდამხარ თამაშში მილანელები, ჯენარო გატუზო და ანდრეა პირლო გაწვრთნა. ამბობენ, რომ ტოტის არყოფნა ავტომატურად ზრდის დელ პიეროს პასუხისმგებლობას, რომელსაც თავისი პრიმა ვარსკვლავობისა და უპირატესობის დამტკიცების რეალური შანსი ეძლევა. დელ პიერო შვედებისთვისაც ცუდი მოგონებაა. გახსოვთ, ოთხი წლის წინანდელ ევროპის ჩემპიონატზე „სკუადრა აძურამ“ თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სწორედ იუვენტუსელის გატანილი გოლით რომ დაამარცხა სკანდინავიელები 2:1?

ფეხბურთელი, რომელიც ნაღდად ძირითადში იქნება და ჩვენი აზრით, ამის ღირსია, გახლათ ჯანლუკა ძამბროტა, მარცხენა მცველი. ძამბროტას შვედებთან შეხვედრაზე ასეთი მოსაზრება აქვს:

„იმისთვის, რომ შვედები დავამარცხოთ, საჭიროა მათზე მეტი ვირბინოთ — მათ ჩინებული გუნდი და ძალიან ძლიერი თავდამსხმელები ჰყავთ. მათ და დანიელებს შორის მთავარი განსხვავება სწორედ შვედთა თავდასხმაა“.

ფაქტია, შვედები ბულგარელებს ხუთ გოლს სუსტი თავდასხმით ვერ გაუტანდნენ. სკანდინავიელთა წინა ხაზში ორგოლიანი ჰენრიკ ლარსონის მხარდამხარ ზლატან იბრაჰიმოვიჩი თამაშობს.

თუმცა შვედებს პირველი ტურის ფრიად წარმატებულ შემადგენლობაში ერთი ცვლილების ჩასმა მაინც მოუწევთ — დაშავდა მარჯვენა მცველი ტედი ლუკიჩი, რომლის ადგილზე თამაშაც მწვრთნელები, ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი ნახევარმცველ მიკაელ ნილსონს სთხოვენ, ხოლო კრისტიან ვილჰელმსონი — ფეხბურთელი, რომელმაც ბულგარელებთან შეხვედრაში ლუკიჩი შეცვალა — ნახევარდაცვაში გადაბარგდება.

პაპუნა კვიდა

შვედეთი	1	1	0	0	5:0	3
დანია	1	0	1	0	0:0	1
იტალია	1	0	1	0	0:0	1
ბულგარეთი	1	0	0	1	0:5	0

III ტური: 22 ივნისი
იტალია — ბულგარეთი
დანია — შვედეთი

EURONEWS

ფრანჩესკო და ფურთხი

სამი თამაში სიმბოლოს გარეშე

ევრო 2004-ის ერთ-ერთმა ყველაზე დიდსახელიანმა ფეხბურთელმა, ფრანჩესკო ტოტიმ სამი თამაში უნდა გამოტოვოს. მიზეზი: პირველ შეხვედრაში დანიელ მეტოქეს, კრისტიან პოულსენს ჯერ ლამის ფეხი წააცალა, მერე კი შეაფურთხა. უეფას სადისციპლინო კომიტეტის დადგენილებაში წერია, რომ ტოტის „სერიოზული არასპორტულ საქციელში“ ვიდეოფირის ნახვის შემდეგ დაედო ბრალი

„ასეთ ქცევას გულისხმიერებით და გაგებით ვერ ვუპასუხებთ — განაცხადა უეფას პრეს-მდივანმა უილიამ გაილარმა — ასეთი ქცევა ჩვენ ადრეც ამოსაძირკვად მიგვაჩნდა და მომავალშიც ასე იქნება“.

ტოტიმ ჩაფიქრებული სახით და უკომენტაროდ დატოვა შენობა, სადაც მისი საქმე იხილებოდა. ეს შენობა გახლდათ ლისაბონის ერთ-ერთი სასტუმრო, სადაც ამ დანაშაულზე სამი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ.

ასე და ამგვარად, „რომას“ კაპიტანმა დანამდვილებით უნდა გამოტოვოს დღევანდელი მატჩი შვედეთთან და შემდეგი ბულგარეთთან, ხოლო თუ „სკუადრა აძურა“ **ს** ჯგუფიდან გავა, მაშინ მეოთხედფინალშიც ტრიბუნაზე მოუწევს ჯდომა.

შეგახსენებთ, რომ ტოტის წინააღმდეგ ეს „საქმე“ დანიის ფეხბურთის ასოციაციამ აღძრა და მანვე წარუდგინა უეფას ფურთხების დამადასტურებელი ფოტო და ვიდეომასალა. როგორც ლისაბონის სასტუმროდან შევიტყეთ, „პროკურორები“ ოთხთამაშიან დისკვალიფიკაციას ითხოვდნენ, ხოლო იტალიელის ადვოკატმა ერთი თამაშის დაკლებას მიაღწია. იტალიური საგენტო ANSA-ს ცნობით, ხსენებული ადვოკატი ვერდიქტის იმ ნაწილით არის კმაყოფილი, რომლის მიხედვითაც მას განაჩენის გასაჩივრების საშუალება ეძლევა.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, კორეასთან სკანდალურ შეხვედრაში, ეკვადორელმა მსაჯმა ბაირონ მორენომ ტოტი ყალბი წაქცევის გამო გააძევა მოედნიდან.

საინტერესოა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჩატანილ საგანგებო ბუკლეტში იტალიის ფეხბურთის ფედერაციას უწერია, რომ ფრანჩესკო ტოტი მათი ქვეყნისა და ფეხბურთის სიმბოლოა მთელ მსოფლიოში.

ტოტის ინციდენტმა, ბუნებრივია, ყველას დაუყოვნებლივ მოაგონა 1990 წლის ამბავი, როდესაც ჰოლანდიელმა ფრანკ რაიკარდმა გერმანელ რუდი ფიოლერს შეაფურთხა. მაშინ ორივე მოთამაშე დისკვალიფიკაციით დასაჯეს. გვახსენდება ფურთხების ერთი გახმაურებული ამბავიც — ნოემბერში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, „ლაციოს“ იუგოსლავიელმა მცველმა სინიშა მიხაილოვიჩმა „ჩელსის“ რუმინულ თავდამსხმელს, ადრიან მუტუს შეაფურთხა, რისთვისაც უეფამ რვამატჩიანი უქმობა გამოუწერა.

პაპუნა კედია

რუსეთი თუ თვითრეკლამა?

სტეპლოტარელ ქუშანაშვილს ლისაბონი ქუთაისი ეგონა

ერთი რამ აკლდა ევროპის ჩემპიონატს და ესეც მოხდა — მოედანზე მსაჯის გასალახად გულშემატკივარი შევარდა, სერგეი ოვჩინიკოვი რატომ გააგდეო. რუსთა კარის უკანა ტრიბუნიდან მწვანეზე კაცი შეიჭრა, მაგრამ არბიტრთან მისვლა არ აცალეს, გაბაწრეს და სტადიონიდან მიაბრძანეს.

ქომაგთა გადახტომა მოედანზე საკვირველი ამბავი აღარაა, რადგან ასეთები არცთუ იშვიათად ხდება, ოღონდ ამ შემთხვევაში გაბაწრულს, შეიძლება ითქვას, ქართული ძირი აქვს. ქუთაისში დაბადებული 33 წლის ოთარ ქუშანაშვილს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი თბილისში დაუმთავრებია, მისივე თქმით, ქრთამით განათებულ საქართველოში ვერაფერს მიაწღია და, როგორც სხვა მრავალმა, კარიერა რუსეთში აიწყო.

ქუშანაშვილმა სახელი სკანდალური სტატიებით, რადიოგადაცემებით და სატელევიზიო ტოკშოულებით გაითქვა. ივი ყოველთვის არაორდინალურად, ექსცენტრიულად იქცევა, რამაც რუსეთში „გაჭრა“ და დიდძალი ფულიც მოაქუჩა. ქუშანაშვილი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჟურნალისტია. მოსკოვსა და სანკტ პეტერბურგში სახლები და აგარაკები არ აკლია.

ვეჭვობ, რომ მას რუსეთის მარცხი ან ოვჩინიკოვის გაძევება გულთან მიეტანოს, ეს მისი მორიგი სარეკლამო ფანდი უფრო იყო, ვიდრე ალალად აღშფოთებული ქომაგის საქციელი, ევროპის ჩემპიონატი ხომ თვითრეკლამისთვის საუკეთესო ადგილია.

ვაჟა ხუციშვილი



eurofan2004@hotmail.com

აი, ისევ მოვიდა თქვენი წერილების გარჩევის დრო, რასაც, მერწმუნეთ, სიამოვნებით ვაკეთებ.

დავიწყოთ მანუჩარის წერილით, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ვივა, იტალია“. ოჰ, ოჰ, რა სიამოვნებით მოემზადნენ იტალიის ნაკრების გულშემატკივრები ამ წერილის წასაკითხად?! მაგრამ ჯერ არ იციან, რომ...

მოკლედ, წერილში ვკითხულობთ:

— გამარჯობა სარბიელო შენი!!!

შენს ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ მკითხველს სურს საკუთარი აზრის გაზიარება: ყველას შემიძლია გავუგო, მაგრამ ერთი რამე ვერ გამიგია, თუ მაინცდამაინც იტალიელი არა ხარ, რატომ, რისი ხათრით უნდა უგულშემატკივრო „სკუადრა აძურას?“ ქალები გასაგებია, მოსწონთ ეგეთი ტიპები, მაგრამ ეს კაცები რამ გადარია — საყურებლად მაგათი ფეხბურთი არ ვარგა, შეიძლება მარტო დიზაინერები და სტილისტები დაინტერესდნენ. თუმცა მაგათთვის კამერუნის ნაკრები უფრო საინტერესო უნდა იყოს, ორიგინალური ფორმები მაინც აცვიათ.

შეიძლება ევრო 2004-ზე არც სხვები აჩვენებენ დიდად სანახაობრივ ფეხბურთს, მაგრამ იტალიელების თამაშის დაწყებამდე იცი, რომ ეს ეგრე იქნება, სხვების იმედი მაინც გაქვს (გარდა გერმანიისა, ისინი ხომ მთლად დაღუპულები არიან).

აბა, თქვენ იცით, მაგრები ხართ და ეგრე გააგრძელეთ.

დიდი პატივისცემით

მანუჩარი.

ჰა, როგორ ხასიათზე ხართ „სკუადრა აძურას“ ქართველო გულშემატკივარო მამაკაცებო? სხვათა შორის, „სარბიელის“ ერთმა ჟურნალისტმა, იტალიის თავგადაკლულმა გულშემატკივარმა, ეს წერილი რომ წავაკითხე, მაგ მანუჩარის მისამართი მომეცი, მითხრა. რა ვქნა მანუჩარ, მივცე?

წინა მიმოხილვაში ვინმე **DATO78**-ის წერილი გავარჩიეთ, რომელშიც ის, რბილად რომ ვთქვათ, დევიდ ბექემს უდიერად იხსენიებს. დათო, შენთან წერილია, თან გოგონასი.

— მინდა გამოვეხმაურო დათო 78-ს და ვურჩიო, რომ ბექემს და ინგლისის ნაკრებს თავი დაანებოს. ფაქტია, რომ მათი ფანი არ არის, მაგრამ მეტოქის პატივისცემა უნდა შეგეძლოს. რაც შეეხება თამაშს, ფრანგებმა შემთხვევით მოიგეს. ბრიტანელები ამას არ იმსახურებდნენ. ფორტუნამ ზურგი ბოლო წუთებზე შეაქცია ინგლისის ნაკრებს, მაგრამ მე მჯერა რომ იგი თავის სათქმელს კიდევ იტყვის.

ღმერთი ფარავდეს ინგლისის ნაკრებს!

ჩემო **ქეთი** (წერილის ავტორის სახელია), შენ ოღონდ არ ინერვიულო და ინგლისელებზე მოსულ ცუდ წერილებს აღარ გამოვაქვეყნებ. ბექემი, რა თქმა უნდა, გენიოსია, ინგლისის ნაკრები, რა თქმა უნდა, საუკეთესოა მსოფლიოში, ძირს საფრანგეთი და ზინედინ ზიდანი! ხომ კარგად დავწერე?

ჰო, **DATO78**-ისგან ორი დღეა არაფერი მიმიღია და სად ხარ, ძმაო, სად დაიკარგე.

ისე, იმ თანამშრომელმა, აი, იტალიის გულშემატკივარი რომ არის და მანუჩარის მისამართს დაჟინებით მთხოვს, ქეთის მისამართიც დაინტერესდა და არ ვეუბნები.

კიდევ ერთი ძალიან ვრცელი წერილი მოვიდა **FORZAJUVE, GIO_KHUTSO** და **NIKOLOZOBA**-სგან, რომლებსაც მომდევნო მიმოხილვაში გავარჩევ, დღეს კი ამით დავამთავროთ. არ დაიზაროთ, მოიწერეთ.

ვეგმასტერი გუარა

„სკუადრა აძურას“ ამ ქართველმა ტიფოზმა ვაშა დაივწყა და „ფორცას“ ღრიალებს

eurofan2004@hotmail.com

EURONEWS

ეროვნული ბიბლიოთეკა

პინოქიოს თავგადასავალი

ფეხბურთი სასადილოდან იწყება





გერმანიასთან მატჩის შემდეგ დიკ ადვოკაატმა თქვა — ბედნიერებაა, გუნდში გყავდეს ფეხბურთელი, რომელსაც არაფრისგან გოლის შექმნა შეუძლიაო. ეს სიტყვები, ცხადია, რუუდ ვან ნისტელროის ეკუთვნის, მან ხომ ჰოლანდია მარცხისგან იხსნა. მწვრთნელი და მისი სანაქებო ფორვარდი საკმაოდ ხშირად კამათობენ. მიუხედავად ამისა, ადვოკაატმა კარგად იცის, რომ უკეთესი შემტევი არ ჰყავს და ვან ნისტელროის ჭირვეულობას ითმენს.

პსვ-ში გაბრწყინებული თავდამსხმელი უმალ ახალ მარკო ვან ბასტენად მონათლეს და კინაღამ დათარსეს — ორი მძიმე ტრავმა გადაიტანა, რის გამოც ევროპის წინა ჩემპიონატი გაუცდა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ ტრანსფერი ჩაეშალა. ინგლისურმა გუნდმა გამოჯანმრთელებული ფეხბურთელი მოგვიანებით წაიყვანა.

ჰოლანდია-გერმანიის მატჩის შემდეგ რუუდ ვან ნისტელროი ჟურნალისტების სამიზნე გახდა და მასთან ინტერვიუს ქვემოთ გთავაზობთ

— გატანილი გოლი თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია?

— ვგრძნობ, ნაკრებს ვჭირდები და მიხარია, რომ ჩემი სამუშაო შევასრულე. მეტოქეს თამაში უკვე მოგებული ეგონა და ასეთ დროს გათანაბრება მეტად საამოა. გერმანიის დონის გუნდთან ფრე ნაღდად კარგი შედეგია.

— მატჩამდე ამბობდნენ, რომ გერმანია ჰოლანდიისთვის გამაღიზიანებელი მეტოქეაო.

— ფეხბურთელებისთვის არა, მაგრამ იმ გულშემატკივრებისთვის, ვისაც 1974 წლის მუნდიალის ფინალი ახსოვთ, ყოველთვის ასე იქნება.

— ევროპის 1988 წლის ჩემპიონატზე რუდი ფიოლერმა ჰოლანდიის წინააღმდეგ ითამაშა...

— არ მსურს, რომ ისტორია ამოვქექოთ და ახლანდელი ჰოლანდია მაშინდელს შევადაროთ. ისინი დიდებული ფეხბურთელები იყვნენ, მაგრამ ჩვენც არ ვართ სუსტები. არ მსიამოვნებს, როცა ვინმეს, მაგალითად, ვან ბასტენს მადარებენ.

— ალბათ იმიტომ არ გსურთ ვან ბასტენთან შედარება, რომ მან ტრავმის გამო კარიერა ნაადრევად დაასრულა.

— მარკოს არ გაუმართლა. ფეხბურთი ხისტი, უხეში გახდა და მის დარ თავდამსხმელს ფეხში ხშირად ურტყამდნენ. ვან ბასტენი დიდებული გახლდათ, მაგრამ მე მე ვარ და არ მინდა მეორე ვან ბასტენად მონათლონ, მირჩევნია, პირველი რუუდ ვან ნისტელროი ვიყო.

— ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში ნაკრებში არავინალი ვითარების გამო პრობლემები არ გაკლდათ...

— ჰოლანდიას იმდენივე პრობლემა ჰქონდა, რამდენიც სხვა ნაკრებებში არსებობს. გუნდში, სადაც განსხვავებული ადამიანები თამაშობენ, აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იქნება და გაუგებრობაც ჩვეულებრივი ამბავია.

— ადვოკაატს არაერთხელ უთქვამს, რომ თქვენ და კლუივერტი ერთმანეთს ვერ უგებთ, ამიტომაც ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ვან ნისტელროი თამაშობს.

— დამიჯერეთ, პატრიკთან უთანხმოების გამო არ ხდება ასე. ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს და ნაღდად არ ვჩხუბობთ ყოველი შეხვედრისას, როგორც გაზეთებში წერენ.

— ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი ხართ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაშ, 100-ზე მეტი გოლი გაიტანეთ, ხოლო შარშანწინ ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი გახდით და 12 გოლით რეკორდი მოხსენით...

— ეს ფაქტი პასუხისმგებლობას მმატებს და ერთი მხრივ კარგია, რომ ნაკრებში დიდად დაფასებული ვარ, მაგრამ არც ისე იოლია მოლოდინის გამართლება, რადგან ჩემგან მუდმივად გოლებს და სასწაულს ელიან. ასეა, კლუბშიც და ეროვნულ გუნდშიც. ვცდილობ, რომ ჯადოქრობაზე არ ვიფიქრო და რაც მევალება, გავაკეთო.

— მართალია, რომ ბავშვობაში უპერსპექტივოდ გთვლიდნენ?

— ნამდვილად. ჩემი პირველი მწვრთნელი მეუბნებოდა — არა მგონია, შენგან ფეხბურთელი გამოვიდეს. ძალიან მონდომებული ხარ, მაგრამ ჯანი და სიზუსტე გაკლიაო. არ დავნებდი და გადავწყვიტე, ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ ისინი ცდებიან. ჩემი ქალაქის გუნდ „ტოპ ოსში“ მიმიწვიეს სათამაშოდ და ვერ გავამართლე — ეს ტრაგედია იყო.

— ახლა ალბათ ნანობენ...

— შესაძლოა, სამი წლის შემდეგ „დენ ბოსხში“ ავთამაშდი და „ტოპ ოსიდან“ დამიკავშირდნენ, დაბრუნდიო, მაგრამ ვიუარე — უკვე „აიაქსი“ და „ფეიენოორდი“ მეპატიჟებოდნენ.

— ბავშვობაში მეტსახელი გქონდათ?

— ბავშვობაში არა, მაგრამ „დენ ბოსხში“ პინოქიოს მეძახდნენ, რადგან ხისთავიანივით ვთამაშობდი. მახსოვს, თანაგუნდელები ხშირად მეუბნებოდნენ: „პინოქიო, ადამიანად როდის იქცევი?“ მწყინდა და ვცდილობდი, უკეთესი გავმხდარიყავი. გიჟივით ვვარჯიშობდი და გოლებს მოვუხშირე.

— ცრუმორწმუნე ხართ?

— ალბათ, როგორც ბევრი სხვა ფეხბურთელი. ბევრ წვრილმანს ვაქცევ ყურადღებას. მაგალითად, „ჰერენვენში“ რომ გადავედი, პირველად მებუფეტეს შევხვდი და ჩემი კარიერა ამ კლუბში ძალიან კარგად აეწყო. პსვ-ში გადავედი და მაშინვე კლუბის მებუფეტესთან შეხვედრა ვითხოვე — შედეგი ბრწყინვალე იყო, როცა პსვ-დან „მანჩესტერში“ გადასვლას ვაპირებდი, ინგლისში ჩავედი და კლუბის მებუფეტეს ნახვა ვითხოვე, არ გამოვიდა და „მანჩესტერმაც“ ჩემი წაყვანა იუარა.

— პორტუგალიაში მებუფეტე გაიცანით?

— არა, ეს მხოლოდ საკლუბო ამბებზე ვრცელდება.



ალექსანდრ მოსტოვოი

მოკვეთილის მონოლოგი

ალექსანდრ მოსტოვოი ნაკრებიდან რომ მოკვეთეს, უკვე გაუწყეთ. გუშინ „სელტას“ ლეგიონერმა „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ კორესპონდენტს გული გადაუშალა და ქვემოთ სწორედ მის მონოლოგს გთავაზობთ

...არ მესმის ასეთი ამბავი რატომ ატყდა. ისეთი რა ჩავიდინე? რას მაბრალებენ? ნამატჩევს, როგორც წესი, ჟურნალისტები მოვიდნენ. ჩემი ბრალია, რომ 11 ფეხბურთელიდან მხოლოდ 2-3 გავჩერდით მათთან სალაპარაკოდ?

...ჩვეული ამბავია, გეკითხებიან, ვპასუხობ — მორჩა! ვინმეს რამე დავაბრალე? ჟურნალისტებმა მერე რაღაც დაწერეს და... იარცევს რატომღაც არ მოეწონა, თითქოს ვთქვი, რომ ესპანეთთან მატჩისთვის ცუდად ვემზადებოდით და გადავიღალეთ.

...ის გაზეთი არც კი მინახავს. კორესპონდენტებს შეეძლოთ, ტექსტი თავისებურად შეეცვალათ, მაგრამ თუნდაც ერთი გადაბრუნებული სიტყვა რომ მეთქვა, ამით რა დაშავდა? ევროპულად მოაზროვნე მწვრთნელი სხვანაირად მოიქცეოდა, მაგრამ იარცევი საბჭოურად აზროვნებს. ამიტომაც მითხრა: „მომისმინე, იქნებ რაღაცას ურევ, რამე გეშლება, მოდი, მოვრიგდეთ და გაზეთში ნათქვამი უარყავი“.

...ტურნირის დამთავრების შემდეგ გარჩევა გამიგია, მაგრამ ჩემი გაგდებით გუნდმა რა მოიგო? ვეღარ ვიცხოვრებ და ვეღარ ვითამაშებ? მე გულიდან ამოძახილი ამოვთქვი და ასეთი სკანდალის აგორება გაგონილა?

...სენსაციური ამბების მოყოლა რომ მდომებოდა, ისეთებს ვიტყოდი, ყველას თმა ყალყზე დაუდგებოდა, მაგრამ ხომ არ მითქვამს.

...ჩემი გაძევება მით უფრო საწყენია, რადგან პორტუგალიასთან, ფაქტობრივად, გადამწყვეტი მატჩი გველოდა. ამ დროს მოდის მწვრთნელი და მეუბნება: „შენ აღარ გვჭირდები, შეგიძლია, მიბრძანდე!“ მე ვკითხე: „იქნებ მითხრათ, რატომ?“, რაზეც მიპასუხეს: „ესპანურ გაზეთთან ინტერვიუში გითქვამს, რომ ჩვენ სუსტები ვართ“. მწვრთნელთაგან ერთ-ერთი რომ მოსულიყო და ეთქვა, ესპანეთთან სუსტად ითამაშო, შენიშვნას მივიღებდი, მაგრამ კარგად ვინღა ითამაშა? საფრანგეთმა? ფრანგებმა ხომ 90 წუთის განმავლობაში არც კი იცოდნენ, რა ეკეთებინათ. ზიდანი მთელი მატჩის განმავლობაში არ ჩანდა და მხოლოდ ბოლოს გაიბრწყინა.

...რატომ ატეხეს წივილ-კივილი, თითქოს მე ნაკრებში კონფლიქტი გამოვიწვიე? ვინმეს დავარტყი? ახლა მეგობრები მირეკავენ და მამხნევებენ, რა მჭირს გასამხნევებელი? ჩემი სინდისი სუფთაა. მეცინება, რადგან არაფრის გამო გამაგდეს. არ დავმთვრალვარ და ყელში ხელი არავისთვის წამიჭერია.

...გეორგი იარცევი ჩემთან ნომერში შემოვიდა. მიღრიალა, რადგან ურთიერთობის ასეთი მანერა აქვს: „აიბარგე და დაახვიე აქედან. ჩვენ შენ არ გვჭირდები“ — მე კი ვუპასუხე: „რა პრობლემა? ყველაფერი გასაგებია და კარგად ბრძანდებოდეთ!“

ავი სიტყვა

ძალიან არ გვინდა იტალიის ნაკრების ქომაგებს ვაწყენინოთ, მაგრამ ტოტი იფურთხება. ჯობდა, მართლა კარგად ეთამაშა ფეხბურთი.

ეხლა კი რუსებზე გადავიდეთ... და გადმოვიდეთ. კითხვა ასე ჟღერს: იყო თუ არა გასაგდები მეკარე ოვჩინიკოვი? პასუხი ასეთია: ძალიან კარგი რომ გააგდეს. გამეორებებმა აჩვენა, რომ გარეთ გამოვარდნილს ბურთისთვის ხელი არ დაუდიაო. აჩვენა და აჩვენა, სად ჰქონდა მსაჯს ვიდეოს ასორმოცდაათჯერ დატრიალების დრო? მაგას სჯობდა ოვჩინიკოვს ის თავისი ხელი შორს გაეწია.

პორტუგალიაზე კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ბაცანა გუნდია. იმედი გვაქვს, ამის დამტკიცებას არავინ გვთხოვს, ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად სჩანს.

მოკლედ, Россия ты можешь больше-ო, დაიწერა მკერდზე პორტუგალიის სტადიონზე ჩუკოტკიდან ამოსულმა მილიონერმა და ამით, ალბათ კრემლში საქართველოს პრეზიდენტის კეთილ ნაცნობს მოაწონა თავი. თორემ მისი გონების და ქონების კაცს შეუძლებელია კარგად არ მოეხსენებოდეს, на самом деле ყველაფერი პირიქით რომაა. რუსეთს ბაცანამ მოუგო, მოედანზე კი გამხეცებული ქართველი გადახტა — ოთარ ქუშანაშვილზე მოგახსენებთ, „დი ჯეი“ რომ არის.

მერე მაგით ვითომ რა? არც არაფერი, ჩვენთვის მოშჩნად სულერთია.

გერმანელები საღოლ! ყველა იძახდა, ჰოლანდია მაგარია, ესა ჰყავსო, ისა ჰყავსო, მაგრამ ავიწყდებათ, რომ გერმანიას თავმოყვარეობის გამო ორი მსოფლიო ომი აქვს ერთ საუკუნეში დაწყებული. ეი, სადა ბანაობთ

ჩეხური მოდა

ბებიაშენმა ბებიაჩემს ქონდარი რომ არ ასესხა...

რუსებს ვერც ბალელშიცებს დაუწუნებდი და ვერც ბალელშიცების რამე-რუმეებს

სურინამელებო?! ერთია, რუმინელებთან ამხანაგური და მეორეა ევროპის ჩემპიონატის თამაში, თან ჰოლანდიასთან, ხომ ნახეთ კანი რომ კანია, იმანაც კი კარგად ითამაშა, ბურთი არც ყურებში გაძვრომია, არც მუცელში და არც სადმე სხვაგან. კურანიზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ნამდვილ გერმანელში ნამდვილმა გერმანულმა სისხლმა იყივლა და ჰოლანდიელი მცველის აქნეულ წიხლს შუბლიც კი შეუშვირა სამშობლოსთვის. და ეგ რა არის, თვით რუდი ფიოლერმა შეარჩია სწორი ტაქტიკა.

ჰოლანდიელებზე კი, რა გითხრათ, რით გაგახაროთ. ჩვენ ძალიან დიდ პატივს ვცემთ საქართველოს პირველ ლედის, მაგრამ ეს „ორანიეს“ ევროპის ჩემპიონობისთვის საკმარისი არანაირად არ არის. მერედა, მაგათთან დაწყებულია ტრადიციული, „ბებიაშენმა ბებიაჩემს ქონდარი არ ასესხა, ამიტომ პასს არ მოგაწოდებ“ და ეგეთი რაღაცეები.

ჩეხები... აუუუუ! ძალიან დიდი ბოდიში გვინდა მოვიხადოთ ყველა იმ ქართველის წინაშე, ვინც მოდას აჰყვა და იმის საჩვენებლად, რომ ფეხბურთი ესმის, ჩეხების ქება დაიწყო, თან რაღაცნაირი მისტიკური სახით, ვითომცდა ისეთ რამეს გეუბნებით, რაც ზედაპირზე არ არისო. მაგრამ ლატვია რომ გაგაბითურებს, გოიმი ხარ. თუ ვინმეს ჰ გონია, რომ ჩეხებმა ძალა დაზოგეს, ცდება. ძალა უნდა დაზოგო ცოდნით, საზიზღრად — კაცს ფეხბურთს რომ შეგაძულებს ისე — როგორც იტალიელები აკეთებენ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ხოლო თავიდან რომ მაიმუნობ და მერე პანიკაში ვარდები ე, ბიჭო ვაგებო, გოიმი ხარ. მოკლედ, თუ გინდათ ნაღდად დაამტკიცოთ, რომ ფეხბურთი გესმით, ვის ვის და ჩეხებს ნუ შეაქებთ. ჯობს ისევ ბრაზილია აქოთ. ისე, ეგეც დიდი სიაბანდი ქვეყანა გახდა, მაგრამ მაინც...

ფეხბურთის რუკასთან

შვედმა ფრედი ლიუნგბერგმა განაცხადა, „არსენალთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ევრო 2004-ის დამთავრებამდე არ ვიფიქრებო. „ახლა მხოლოდ ეროვნულ გუნდზე ვფიქრობ და საკლუბო კარიერასთან დაკავშირებულ დეტალებს ევროჩემპიონატის მერე დავუბრუნდები“ — აღნიშნა ნახევარმცველმა. როგორც ამბობენ, „მეთოფეები“ ლიუნგბერგს ახალ, მრავალწლიან კონტრაქტს და კვირაში 40 ათას გირვანქას სთავაზობენ, მაგრამ შვედი ამ წინადადების მიღებას არ ჩქარობს. მისი გადაბირება არაერთ გრანდს სწადია, ყველაზე აქტიური კი მილანის „ინტერია“.

შვედმა ჰენრიკ ლარსონმა განაცხადა, კარიერის გაგრძელება „ბარსელონაში“ მწადიაო. იცით, მან უკვე დატოვა გლაზგოს „სელტიკი“ და ახალი კლუბის ძიებაშია. ფეხბურთელის აგენტის თქმით, ლარსონის გადაბირება ძალიან სურთ და მათი რიცხვი დიდია. სიას კი სათავეში სწორედ „ბარსელონა“ უდგას.

რუსეთის თასის მფლობელი „ტერეკი“ უეფას თასის საშინო მატჩს მოსკოვში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართავს. გროზნოში ახალი მოედნის შენება კი დაიწყეს, მაგრამ რთული პოლიტიკური ვითარების გამო იქ ჩასვლაზე ალბათ არავინ დათანხმდებოდა. როგორც რკინიგზელთა კომერციულმა მენეჯერმა დავიდ შავინიანმა თქვა, მხარეებმა შეთანხმებას ერთ მატჩზე მიაღწიეს, მაგრამ თუ „ტერეკი“ შემდეგ ეტაპზე გავა, თანამშრომლობა გაგრძელდება.

იტალიური „იუვენტუსი“ და „რომა“ მცველ დანიელე ბონერას ვერ იყოფენ. „პარმადან“ „რომაში“ გადასულ მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის თავისი ყოფილი შეგირდის თან წაყვანა უნდა, მაგრამ 23 წლის ფეხბურთელს გული უფრო ტურინისკენ მიუწევს. „კლუბისთვის ჯერ არ მითხოვია, რომ წასვლის ნება მომცენ. საბოლოო გადაწყვეტილებას მალე მივიღებ. თუმცა ერთი ვიცი — ჩემპიონთა ლიგაში მსურს თამაში“ — აღნიშნა ბონერამ.

ესპანურმა „ატლეტიკომ“ არგენტინელი მეკარის ხერმან ბურგოსის შემცვლელი იპოვა. მადრიდელებმა 27 წლის „მალიორკას“ აწ უკვე ყოფილი კარის დარაჯი, ბურგოსის თანამემამულე ლეო ფრანკო გადაიბირეს, თუმც მხარეები კონტრაქტის პირობებზე ჯერჯერობით არ საუბრობენ.

იტალიელ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის გადაუწყვეტია, თავისი ძველ-ახალი კლუბი „ვალენსია“ ჰოლანდიელი მიხაელ რაიცგერით გააძლიეროს. ვეტერან მცველ „ბარსელონასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი აგენტია. მოლაპარაკება სავარაუდოდ, ევროპის ჩემპიონატის მერე დაიწყება.

ესპანური „სარაგოსა“ მომავალი სეზონისთვის შემადგენლობას აძლიერებს. ქვეყნის თასის მფლობელებმა ესპანეთის ნაკრებისა და „სოსიედადის“ უკვე ყოფილი მცველი აუგუსტინ არანსაბალი გადაიბირეს. ამ უკანასკნელმა „სოსიედადში“ II სეზონი გაატარა და 353 მატჩში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ წლეულს კლუბთან ახალი კონტრაქტი არ გაუფორმებია და თავისუფალი აგენტი გახდა. არანსაბალმა კარიერის გაგრძელება „სარაგოსაში“ არჩია, უეფას თასზე მაინც ვითამაშებო.

იტალიური „იუვენტუსის“ ახალმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ მოითხოვა, ესპანელი გარემარბი ხოაკინ სანჩესი მიყიდეთო. ტიტულიანმა და მრავლისმნახველმა მწვრთნელმა ხოაკინს ჯერ კიდევ „რომაში“ ყოფნისას დაადგა თვალი, მაგრამ დედაქალაქელებს მისი შეძენა რთული ფინანსური მდგომარეობის გამო არ შეეძლოთ. „ბეტისი“ 22 წლის ნახევარმცველში დაახლოებით 30 მილიონ ევროს ითხოვს. ახლა ჯერ „იუვეს“ შეფებზეა.

დეკო მაურინიუს კვალს გაჰყვა

„პორტუსა“ და პორტუგალიის ნაკრების ჩაა ნახევარმცველმა დეკო სოუზამ დაადასტურა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელი გახდება.

„მე კლუბთან ყველაფერი შევათანხმე და სამედიცინო შემოწმების გავლაღა დამრჩა“ — განაცხადა ფეხბურთელმა. ბრაზილიაში, სან პაულუში დაბადებულმა ფეხბურთელმა პორტუგალიის მოქალაქეობა ორი წლის წინ მიიღო და ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ნაკრებში მიიწვია, რაც რუი კოშტას და ლუიშ ფიგუს არ ეამათ. დეკოს სრული სახელია ანდერსონ ლუის დე სოუზა. იგი ევროპაში 1997-ში ჩავიდა და „ალვერკაში“ თამაშობდა, საიდანაც „სალგეირუშში“, შემდეგ კი „პორტუში“ გადავიდა.

მისი სანაკრებო დებიუტი შარშან აპრილში, ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში შედგა, რომელიც სკოლარის გუნდმა 2:1 მოიგო და გამარჯვების გოლი დეკომ საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

ვაჟა ხუციშვილი

ლიბერტადორესის თასი 2004

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

ონსე კალდასი (კოლუმბია) 2:1 სან პაულუ (ბრაზილია) (0:0)

1:0 ალკასარი (27), 1:1 დანილო (32), 2:1 აგუდელო (90)

იტალია

სერია A/B. პლეი ოფი

I მატჩები

პერუჯა 0:1 ფიორენტინა

0:1 ფანტინი (10)

ბარი 1:0 ვენეცია

1:0 ბრუნო (57)

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;

Fax: 94 33 80

ობიექტი

ერეკლეულ-ბიბლიოთეკა

მარცხნიდან მარჯვნივ
გაითვალეთ!
ერთი ბოძი, ორი ბოძი,
სამი ბოძი... რუნი

მისი აღმატებულება,
ესპანეთის
პრინცესას
თანამეცხედრე ინაპი

ბანაკით კი შეგიძლიათ, ბურთით კი, ე, მანდ გაჩერდით

ძია ეუსებიო,
ძია ეუსებიო!

ბიჭო, კაცი ხარ
თუ აქლემი?

ოჯახებში შემოჭრილა ფიგუ

ბადრი ჯობლაძის ფოტო

კაპიტალ გრანტის შვილები

ფედერაციის დეფიციტში გარღვევაა

გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეშვიდე, ცოტა არ იყოს, უცნაური ყრილობა ჩატარდა. სხდომა თერთმეტ საათზე დაიწყო და დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა

ბადრი ჯობლაძის ფოტო

დღის წესრიგში ექვსი საკითხი იყო და ფედერაციის იურისტის, არჯევან ლომიძის ერთ-ორ შენიშვნას თუ არ ჩავთვლით, რომელიც ფედერაციის წესდებაში მცირე შესწორებებს უკავშირდებოდა, დელეგატებს საჭოჭმან-საკამათო არაფერი ჰქონიათ. თავად ყრილობა კი უეფას რეკომენდაციამ მოიტანა, სასურველია, ფედერაციის საანგარიშო ყრილობა ყოველწლიურად ჩატარდესო, ასე ურჩიეს ფედერაციას ადრე უეფადან. ჰოდა, აგერ, გუშინ „ქორთიარდში“ შეკრებილთ ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ პირველი ანგარიშიც ჩააბარეს.

ჟორდანიას სიტყვა დაახლოებით ნახევარსაათიანი იყო და, რა თქმა უნდა, ფედერაციის ბოლოდროინდელ საქმიანობას უკავშირდებოდა. პრეზიდენტმა პერსპექტივაზეც ილაპარაკა და არც სპორტული მასმედიისადმი მადლობა დავიწყებია. ჟორდანიას სიტყვას ოვაცია არა, მაგრამ დელეგატების კმაყოფილება კი მოჰყვა. მერე უკვე ყრილობა დღის წესრიგში შეტანილი საკითხების დამტკიცებასაც წესიერად შეუდგა: ფედერაციაში გაწევრიანეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა; არცთუ ისე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ფედერაციის წესდებაში; შეთანხმდნენ, რომ ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა, ასევე ფიფა-უეფას რეკომენდაციებით, 2006 წლის ნაცვლად ერთი წლით გვიან, 2007 წელს გაიმართება; დელეგატებმა დაამტკიცეს ფედერაციის აღმასკომის ახალი შემადგენლობა, რომელიც 23-კაციანი იქნება. ცხონებული მიხეილ ქორქიასა და ბოლო დროს მოუცლელი ტარიელ ღვაბერიძის ადგილები აღმასკომში ოთხი ახალი წევრით შეივსო — ანდრო აბაშიძე, რევაზ არველაძე, სერგო კვარაცხელია და დიმიტრი რამიშვილი აღმასკომში არიან. სხვათა შორის, ესეც არჯევან ლომიძის შენიშვნით, ფედერაციაში აღმასრულებელი დირექტორის პოსტი გაუქმდა და ეს თანამდებობა, რომელზეც ანდრო აბაშიძეა, აწი ისევ გენერალურ მდივნად იწოდება. ყრილობაზე ასევე უნდა არჩეულიყო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, თუმც მერაბ ჟორდანიას თხოვნით, დელეგატებმა ამის უფლება აღმასკომს გადაულოცეს. სტკ-ის აწ უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ ომარ გოგიაშვილმა თავად იუარა „მოსამართლეობა“ და მასთან ერთად დისციპლინართა მთელი შემადგენლობაც ჯერჯერობით უქმად დარჩა.

და კიდევ. ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა ფედერაციის 2003 წლის ფინანსური ანგარიში. ნუ გაიკვირვებთ: 2003 წელს ფედერაციის შემოსავალი 2 მილიონ 900 ათასი ლარი ყოფილა, გასავალი კი... ფედერაციის შარშანდელი ზარალი 719 ათასი ლარია. მოგვიანებით ასეთ უცნაურობაში ფედერაციის საფინანსო კომიტეტის უფროსმა გერა ხეცურიანმა გაგვარკვია. საქართველოში საფინანსო წელი იანვრიდან-დეკემბრამდე ითვლება, ფიფა-უეფაში ივლისიდან-ივნისამდე. ამ ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების წყალობით კი ფედერაცია თავის ზარალს ანაზღაურებსო. ხეცურიანის მოხსენებაც სწორედ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დათვლილი ანგარიში იყო.

კოგა ინასარიძე

დროები იცვლებიან, ტრადიცია რჩება

ყაჩაღებს ფეხბურთი უყვართ



ბადრი ჯობლაძის ფოტო

ქურდობა-ყაჩაღობის მსხვერპლნი ქართველი სპორტსმენები იმდენჯერ გამხდარან, ყველა ფაქტის ჩამოთვლა ძალიან შორსაც წაგვიყვანდა და ვერც შევძლებდით. ავაზაკები განსაკუთრებით ფეხბურთელებს ეტანებიან და აგერ, კიდევ ერთი ფაქტი...

გუშინ, გვიან ღამით, თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფორვარდ სანდრო იაშვილს სამი ბოროტმოქმედი სადარბაზოსთან დახვდა და იარაღის მუქარით მანქანა გასტაცა. ფეხბურთელი მომხდარზე კომენტარისგან თავს იკავებს, ეჭვი არც ამ ავი საქმის შემსრულებლებზე აქვს და არც დამკვეთებზე.

ვიქონიოთ იმედი, რომ ნაძარცვი ისევ პატრონს ერგება, მძარცველი კი მართლმსაჯულებას.

დავით ერაძე

დილა—მარეკი

დღეს გორის „დილა“ ბულგარეთში, ქალაქ დუბნიცაში ჩავა ინტერტოტოს თასის პირველი მატჩის სათამაშოდ. გეცოდინებათ, გორელთა მეტოქე იქაური „მარეკია“, რომელმაც ბულგარეთის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა

დილა თვითმფრინავში პირველად ჩაჯდა. თანაც ჩარტერში

გორელებმა გორიჯვარზე ილოცეს



ბურამ ფილიბეჯიშვილის ფოტო

ქართლელები „მარეკს“ კი უფრთხიან, მაგრამ შიშისა მაინცდამაინც არაფერი ეტყობათ. კარგ განწყობაზე იყო გუშინ „დილას“ თავკაცი *ზურაბ ხორგუაშვილიც*, მეტოქე ხელწამოსაკრავი არაა, თუმც უიმედოდაც არ ვართო.

გორელები დუბნიცაში ჩარტერული რეისით მიფრინავენ, იქ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდებიან, ორი დღე ივარჯიშებენ და 20 ივნისს უკვე თამაში იქნება.

— ევროტურნირებში „დილა“ პირველად მონაწილეობს და ეს ჩვენთვის დიდი პატივია. ძალიან დაგვეხმარა პროფლიგა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. ვეცდებით, ქართული ფეხბურთი არ შევარცხვინოთ — გვითხრა გუშინ ხორგუაშვილმა.

გორელები „მარეკთან“ სათამაშოდ შეძლების კვალობაზე სერიოზულად ემზადებიან. ამას ისიც ადასტურებს, რომ „დილა“ ბულგარეთში ჩარტერული რეისით მიფრინავს, რაც ქართული კლუბებისთვის უჩვეულო ამბავია. ხშირად გვინახავს, ჩვენებურებს საზღვარგარეთ ავტობუსით ანუ ტანჯვა-წამებით რომ უმგზავრიათ. თუმც „დილამ“ ამსაც მოახა თავი და სოლიდური პარტნიორიც გაიჩინა — გაერთიანებული ქართული ბანკი.

დუბნიცაში წასვლამდე კი მთელი გუნდი გორიჯვარზე ავიდა და ილოცა.

— სულ 19 ფეხბურთელი მიმყავს. გაგა ჩიტაია ტრავმის გამო დაგვაკლდება. მცირე ტრავმები აქვთ ზაზა ლაცაბიძეს და ალბერტ საყვარელიძეს, თუმც ისინი ალბათ მაინც შეძლებენ თამაშს — გვითხრა ხორგუაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საპასუხო მატჩი 27 ივნისს თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება.

ძახა ზალამგერიძე

დღეს 300 000 ლარის დღეა

პროფლიგური კონფერენცია უმაღლესლიგელებს გაცხრილავს

დღეს, 15 საათზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პროფესიული ლიგის კონფერენცია დაიწყება. ეს რიგითი, ორდინალური თავყრილობა არ გეგონოთ, რადგან საქმე ფინანსურ გარანტიებს ეხება — არ გაქვთ 300 ათასი ლარი? თუ ასეა, დამდეგი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებთ.

ერთი სიტყვით, კონფერენციის მთავარი საკითხი 300 000 ლარია. პროფლიგამ დაიანგარიშა და დაადგინა, რომ უმაღლესლიგელ გუნდს მინიმალური წლიური ბიუჯეტი 300 000 უნდა ჰქონდეს, რათა სეზონი ნორმალურად ჩაამთავროს. ასეთი მოთხოვნა-პროექტი პროფლიგამ უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდს დაურიგა და როგორც ჩვენთვის ცნობილია, მათი უმრავლესობა ამ პროექტს მხარს უჭერს. სადავო საკითხები კი პროფლიგის კონფერენციაზე სწორედ ხმათა უმრავლესობით გადაწყდება.

უმაღლესი ლიგის თორმეტეულში რამდენიმე დუხჭირი კლუბია და ზოგი ქვედალიგელი მათი ადგილის ყიდვას აპირებდა, თუმც თუ ეს უფულო კლუბები 300 000 ლარს ვერ იშოვნიან და პროფლიგის კონფერენცია მოსალოდნელ გადაწყვეტილებას მიიღებს, ადგილის ყიდვა საჭირო აღარ გახდება — 300 000 ლარი და უმაღლესი ლიგა.

თუმც, ჯერ საქმე „თუ“-ზე ჰკიდია და ყველაფერს დღევანდელი კონფერენცია გადაწყვეტს. თავყრილობაზე სხვა საკითხებსაც განიხილავენ, მათ შორის 2004-05 წლების ჩემპიონატის ოთხ წრედ ჩატარების პროექტს.

დავით თავართქილაძე

ჩელებაძე არ ხუმრობს. ხუმრობს კი არა...

როგორია: დევაძე, გოგობერიშვილი, ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი, მერებაშვილი, ფეიქრიშვილი...

ბათუმში ღონიერი გუნდის კეთებას რომ შეუდგნენ, ეს აღარც არის ახალი ამბავი... ორიოდ დღის წინ ბათუმში ერთი ვაგონი ფეხბურთელებიც კი ჩაიყვანეს და სეზონისთვის მზადებაც დაიწყეს. დღესდღეობით გუნდში ორმოცამდე ფეხბურთელია, რომლებიც მწვრთნელ ამირან გოგიტიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ, თუმც დღეს-ხვალ მათი რაოდენობა კიდევ გაიზრდება, თანაც გაიზრდება საქართველოს ჩემპიონატით ნაცნობ-გამოცდილი ფეხბურთელებით.

როგორც „ბათუმის“ პრეზიდენტმა რევაზ ჩელებაძემ გუშინ გვითხრა, მოლაპარაკებები შვიდ ფეხბურთელთან ფაქტობრივად დასრულებულია და ახალი სეზონიდან „ბათუმში“ ითამაშებენ: აკაკი დევაძე, ალეკო გოგობერიშვილი, დავით ჭიჭვეიშვილი, თენგიზ სიჭინავა, ლევან მერებაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი და ლევან ხომერიკი. ჩელებაძის თქმით, ამათ გაბათუმელებას ოდენ კონტრაქტზე ხელმოწერა აკლია.

მიზანი კი, იცოცხლეთ, „ბათუმს“ კონტინგენტის შესაბამისი დაუსახავს, აჭარის ხელისუფლებისგან შეგულიანებულნი უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლებენ.

გურამ დოლიძეიანის ფოტო

ექსსიონელი თენგიზ სიჭინავა და ექსდინამოელი ალეკო გოგობერიშვილი ბათუმელები იქნებიან

კოტა ინასარიძე

ხუმტურები არ მაქვს

ჯაშია დინამოჯაშია



გადრე ჯეილანის ფოტო

მე-15 ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებმაც გულშემატკივრების თუ ჟურნალისტების ყურადღება მიიქციეს. მათ შორისაა დინამოელი შოთა ჯაშია. 19 წლის მცველი სწრაფად დამკვიდრდა თბილისის „დინამოს“ ძირითადში და მნიშვნელოვანი სამსახურიც გაუწია გუნდს — თასის ფინალში ქუთაისის „ტორპედოს“ ულამაზესი გოლი გაუტანა.

ჩვენ კი ვეცადეთ, ეს უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელი მკითხველისთვის უფრო ახლოს გაგვეცნო და გუშინ შოთას ინტერვიუ ჩამოვართვით...

— რას იტყვი განვლილ სეზონზე, კმაყოფილი ხარ?

— რა თქმა უნდა. ყველაფერი საჩემოდ აეწყო. მგონი, დებიუტისთვის ცუდი სეზონი არ მქონდა, ახლა კიდევ უნდა მოვუმატო.

— „დინამოს“ ძირითადს იოლად გაუშინაურდი?

— პირველად ივო შუშაკმა მათამაშა „ლოკომოტივთან“, მერე 10-15 წუთით თუ მიწევდა მოედანზე გასვლა, რაც, ცხადია, საკმარისი არ იყო. გია გეგუჩაძის დანიშვნის შემდეგ კი მუდმივად ძირითადში ვარ და თანდათან ყველაფერს ავუღე ალღო.

— „დინამო 2“-ში ცენტრალურ მცველად თამაშობდი, ახლა კი ფლანგზე გადაგწიეს...

— უკვე მცველიც აღარ ვარ. მწვრთნელებმა მარჯვენა ნახევარმცველად დამაყენეს.

— შენ საღ გირჩევნია თამაში?

— სადაც ახლა ვთამაშობ — მარჯვენა ნახერვამცველად. ისე კი, ისეთი ტიპი არ ვარ, უაზრო ხუშტურები მქონდეს და პოზიციის შეცვლას ვერ შევეგუო. სადაც საჭიროება მოითხოვს და გუნდს დასჭირდება, იქ ვითამაშებ, მთავარია, სასარგებლო ვიყო.

— შენს ძლიერ თვისებად რა მიგაჩნია?

— რა ვიცი. ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი. თავს უნაკლო, ჩამოყალიბებულ ფეხბურთელად სულაც არ ვთვლი.

— ბევრი ამბობს, რომ საკმაოდ ძლიერი და ზუსტი დარტყმა გაქვს...

— ალბათ თასის ფინალის მერე შეექმნათ ასეთი აზრი. დარტყმაზე მართლა არ ვწუწუნებ, თუმცა ესეც დასახვეწი მაქვს.

— ეს გოლი შენთვის ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანია?

— გოლიც და თამაშიც. ფინალის მერე ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— სადაც გითამაშია, თითქმის ყველგან გია გეგუჩაძე გწვრთნიდა. მწვრთნელის ნდობა რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის?

— ამას ყველა ფეხბურთელისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გეგუჩაძემ ჯერ „დინამო 3“-ში ამიყვანა, მერე „დინამო 2“-ში მოვხვდი და ცოტა ხნით იქაც გია იყო მწვრთნელი. ახლა კი „დინამოში“ მათამაშებს. საერთოდ, ის ძალიან კარგად მუშაობს ახალგაზრდებთან, რაც უკვე არაერთხელ დაამტკიცა.

— წლეულს „დინამომ“ ჩემპიონობა დათმო. მომავალი სეზონისგან რას უნდა ველოდოთ?

— ძალიან გვინდა, თასიც მოვიგოთ და ჩემპიონობაც. ახლა გერმანიაში მივდივართ შეკრებაზე, მერე უეფას თასიც იწყება. რა ვიცი, ვნახოთ, როგორც მოვემზადებით, ისე ვითამაშებთ. თან თითქმის ახალი გუნდი ვართ — ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს.

— ევროპის ჩემპიონატზე ვის ქომაგობ?

— იტალიას.

— ესე იგი, სანერვიულოდ გქონია საქმე...

— არა უშავს, ჯერ მხოლოდ ერთი ტურია გასული.

— კლუბებიდან?

— „მილანი“ ჩემი უსაყვარლესი კლუბია.

— მცველებიდან ვინ მოგწონს?

— ვალტერ სამუელი.

— კი მაგრამ, იტალიის და „მილანის“ გულშემატკივარს ალესანდრო ნესტა ან პაოლო მალდინი არ მოგწონს?

— ძალიან ძლიერები არიან, მაგრამ მაინც სამუელი მირჩევნია.

— კარიერაში რის მიღწევაზე ოცნებობ?

— რა ვიცი, დაგეგმილი არაფერი მაქვს. კი მინდა, ძლიერ კლუბში ვითამაშო და დიდი ფეხბურთელი გავხდე, მაგრამ ამაზე წამდაუწუმ ფიქრით თავს არ ვიღლი. რასაც მივაღწევ, მივაღწევ. მოკლედ, მანამდე ვითამაშებ, სანამ გავქაჩავ.

— საქართველოს ნაკრებში თამაშზეც არ ოცნებობ?

— როგორ არა?! ნაკრებში თამაში ვის არ უნდა?! მაგრამ ჯერ ახალგაზრდულში უნდა დავმკვიდრდე და მერე თანდათან ნაკრების დროც მოვა.

ძახა შალამბერიძე

მუჯირის სეპაჰანში ლითონგადამუშავებაა

ირანში ფეხბურთელებს სახელმწიფო უხდის

ირანის ჩემპიონატი მაისში დასრულდა და ჯაბა მუჯირის „სეპაჰანი“ მეექვსე ადგილზე გავიდა, მაგრამ ამით სპარსეთში სეზონი არ დასრულებულა — ახლა სათასო მატჩებია და ისპაჰანის „სეპაჰანიც“ ჯერჯერობით წინ მიიწევს. ჯაბა მუჯირს სხვა ირანული ამბებიც გამოვკითხეთ.

— თასის მეოთხედფინალში ვართ და „ესტეგლალთან“ მოგვიწევს ორი მატჩის თამაში. თუმც მარცხენა ფეხის კუნთი დამეჭიმა და არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა. თასის გათამაშება თვის ბოლოს დამთავრდება, ფინალის თარიღი კი ჯერ უცნობია.

— ევროპის ჩემპიონატს ირანშიც უყურებენ?

— თითქმის ყველა არხი გადმოსცემს რეპორტაჟებს. ევროპული ფეხბურთი აქ ძალიან აინტერესებთ, უეფას თასის და ჩემპიონთა ლიგის მატჩებსაც სისტემატურად აჩვენებენ აქაური ტელევიზიები.

— ირანში ახლა ალბათ ძალიან ცხელა და თამაშიც ძნელია...

— ისპაჰანში მაინცდამაინც არ ცხელა, საღამოს კარგად გრილა კიდეც, მაგრამ სამხრეთ ირანში ძალიან ცხელა, ისე, როგორც საუდის არაბეთში.

— ირანში შარშან წაბვედი სათამაშოდ და სეზონი სადაცაა დასრულდება — კმაყოფილი ხარ სპარსული არჩევანით?

— კმაყოფილი ვარ, რადგან აქ ყველანაირი პირობაა სავარჯიშოდ და სათამაშოდ. გულშემატკივრებიც სულ დადიან თამაშებზე. ადრე 40-50 ათასი კაცი დადიოდა ჩვენს საშინაო მატჩებზე, მერე კი, როცა ჩემპიონობის შანსი დავკარგეთ, მაყურებელმა იკლო, მაგრამ ახლა მინიმურ 6-7 ათასი გულშემატკივარი მაინც დადის ჩვენს თამაშებზე.

— ფინანსური პირობები როგორი აქვთ ირანში მოთამაშე ფეხბურთელებს?

— როცა ახალჩამოსული ხარ და არავინ გიცნობს, დიდ ფულს არ გიხდიან, მაგრამ, თუ სეზონს სტაბილურად და კარგად ჩაამთავრებ, 2-3 გუნდი აუცილებლად მიგიწვევს და საკმაოდ კარგ ანაზღაურებასაც შემოგთავაზებს.

— შენ გქონდა შემოთავაზებები?

— საქმე ისაა, რომ „სეპაჰანს“ კონტრაქტით კიდევ ერთი წელი ვეკუთვნი. აქ დაახლოებით ის პირობები მაქვს, რაც ახლა თბილისის „დინამოშია“. თუ ახალ კონტრაქტს გავაფორმებ, უკეთესი პირობები მექნება. ირანში სტაბილურად მოთამაშე ფეხბურთელებს ის ანაზღაურება აქვთ, რაც რუსეთის პრემიერლიგის საშუალო გუნდებშია. ისე, ირანში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიცაა, საქართველოს უმაღლესი ლიგის არცერთი გუნდი რომ არ აიყვანს.

— ირანული კლუბების ფინანსური სტრუქტურა როგორია?

— ირანში თითქმის ყველაფერი სახელმწიფოა, ასეა საფეხბურთო კლუბებშიც — 95 პროცენტით კლუბებს სახელმწიფო აფინანსებს. ჰოდა, აქაურ გუნდებშიც ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, არავინ კოტრდება და ფეხბურთელებიც კუთვნილს უპრობლემოდ იღებენ.

— „სეპაჰანიც“ სახელმწიფოს გუნდია?

— ეგრე გამოდის, რადგან ჩვენ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ქარხნის გუნდი ვართ, რომლის ინვესტორიც სანახევროდ იტალიური კომპანიაა. ეს ლითონგადამამუშავებელი ქარხანაა, რომელიც თავისი სიმძლავრით მსოფლიოში მეშვიდეა.

დავით თავართქილაძე

ჯაბა მუჯირი აზიურ აჯაფსანდალს დასცქერის

ფინური გოლი პრემიერლიგისთვის

რუსეთის პრემიერლიგა 3 ივლისიდან განახლდება. რატი ალექსიძე „როსტოვთან“ ერთად ფინურ შეკრებაზეა, ჰელსინკის ახლოს წიწვნარში ჩაფლულ ალაგას ტემპერატურა 20 გრადუსს არ აღემატება.

როსტოველები ხუთი დღეა, ფინეთში არიან და პირველი ამხანაგური მატჩიც გამართეს. მათი მეტოქე იქაური მეორე ლიგის ლიდერი „ფორსანი“ იყო. როსტოველებმა იოლად, 4:0 გაიმარჯვეს. ალექსიძემ, ისევე როგორც გუნდის ნახევარმა, მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა და მე-20 წუთზე გატანილი ეფექტური გოლითაც გამოირჩა.

„როსტოვი“ ფინეთში 26 ივნისამდე დარჩება და კიდევ ორ საკონტროლო მატჩს გამართავს. რატი შეკრებით, შექმნილი პირობებითა და საკუთარი ფორმით კმაყოფილია.

დავით ერაძე

სარბიელი: კრიზისი

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 ივნისი						
21.00	013	ბულგარეთი-დანია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.45	014	იტალია-შვედეთი	2,0	3,0	3,8	1,2	1,31	1,67
		19 ივნისი						
21.00	015	ლატვია-გერმანია	9,0	4,4	1,3	2,95	1,13	1
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
		20 ივნისი						
23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,9	3,0	2,4	1,47	1,31	1,33
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	4,8	2,5	1,85	1,64	1,33	1,06

© 2002 UEFA TM

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 ივნისი						
5013		ბულგარეთი-დანია	4,8	2,15	2,2	1,48	1,5	1,08
5014		იტალია-შვედეთი	2,4	2,0	4,2	1,09	1,52	1.35
		19 ივნისი						
5015		ლატვია-გერმანია	6,5	2,6	1,6	1,85	1,28	1
5016		ჰოლანდია-ჩეხეთი	2,8	2,0	3,5	1,16	1,55	1,27
		20 ივნისი						
5017		ესპანეთი-პორტუგალია	3,4	2,0	2,9	1,25	1,56	1,18
5018		რუსეთი-საბერძნეთი	5,0	2,0	2,2	1,42	1,52	1,04

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა. XII ტური						
		20 ივნისი						
21.00	136	ლილესტრიომი-ლინი	2,05	3,1	3,4	1,23	1,27	1,62
21.00	137	მოლდე-სტაბეკი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
21.00	138	ვოლერენგა-ჰამარი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
21.00	139	ოდ გრენლანდი-სოგნდალი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
21.00	140	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
		21 ივნისი						
22.00	141	ვიკინგი-ბრანი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. X ტური						
		20 ივნისი						
20.30	164	ალიანსი-ჰაამეენლინა	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
20.30	165	ჰაკა-ტურკუ	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
20.30	166	ლაჰტი-ჰიკ	3,2	3,1	2,1	1,57	1,26	1,25
20.30	167	როვანიემი-ჯაზი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
20.30	168	კტპ-ტპ 47	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		ირლანდია. პრემიერლიგა. XVII ტური						
		18 ივნისი						
23.00	180	შემროკი-სტ.პატრიკსი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
23.45	181	ბოჰემიანი-დუბლინი	1,45	3,4	7,5	1,01	1,21	2,33
23.45	182	შელბურნი-უოტერფორდი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
		19 ივნისი						
23.30	183	დერი-ლონგფორდი	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

	18 ივნისი		
5413	ბულგარეთი-დანია	2,4	1,6
5414	იტალია-შვედეთი	1,7	2,2
	19 ივნისი		
5415	ლატვია-გერმანია	3,7	1,25
5416	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,8	2,0
	20 ივნისი		
5417	ესპანეთი-პორტუგალია	2,0	1,8
5418	რუსეთი-საბერძნეთი	2,4	1,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	18 ივნისი									
5113	ბულგარეთი-დანია	6,5	10,0	20,0	7,5	4,6	3,6	20,0	10,0	2,6
5114	იტალია-შვედეთი	3,0	10,0	20,0	4,0	4,2	7,0	20,0	10,0	6,0
	19 ივნისი									
5115	ლატვია-გერმანია	12,0	12,0	20,0	14,0	5,3	3,5	30,0	15,0	1,7
5116	ჰოლანდია-ჩეხეთი	3,5	10,0	20,0	4,6	4,4	5,3	20,0	10,0	4,2
	20 ივნისი									
5117	ესპანეთი-პორტუგალია	4,2	10,0	20,0	5,0	4,2	4,6	20,0	10,0	3,6
5118	რუსეთი-საბერძნეთი	7,0	6,0	20,0	9,0	4,0	3,6	20,0	6,0	2,7

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	18 ივნისი			
5513	ბულგარეთი-დანია	3,0	2,8	2,0
5514	იტალია-შვედეთი	3,0	2,8	2,0
	19 ივნისი			
5515	ლატვია-გერმანია	3,0	2,8	2,0
5516	ჰოლანდია-ჩეხეთი	3,0	2,8	2,0
	20 ივნისი			
5517	ესპანეთი-პორტუგალია	3,0	2,8	2,0
5518	რუსეთი-საბერძნეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	18 ივნისი		
5313	ბულგარეთი-დანია	1,65	1,95
5314	იტალია-შვედეთი	1,65	1,95
	19 ივნისი		
5315	ლატვია-გერმანია	1,8	1,8
5316	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,65	1,95
	20 ივნისი		
5317	ესპანეთი-პორტუგალია	1,65	1,95
5318	რუსეთი-საბერძნეთი	1,65	1,95

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	18 ივნისი		
5213	ბულგარეთი-დანია	1,7	1,9
5214	იტალია-შვედეთი	1,6	2,0
	19 ივნისი		
5215	ლატვია-გერმანია	1,75	1.85
5216	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,65	1.95
	20 ივნისი		
5217	ესპანეთი-პორტუგალია	1,65	1,05
5218	რუსეთი-საბერძნეთი	1,7	1.9

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ფორმულა 1. აშშ. 19 ივნისი (17.00)

8001 გამარჯვებული	8201 ექვსეული	8301 უსწრ. წრე
მ.შუმახერი ---------- 1,35	1,05 ---------- 1,02	1,4
ბარიჩელო ---------- 7,0	1,7 ---------- 1,1	5,0
მონტოია ---------- 10,0	2,0 ---------- 1,15	6,0
რ.შუმახერი ---------- 12,0	2,5 ---------- 1,17	10,0
კულტჰარდი ---------- 40,0	9,0 ---------- 1,5	25,0
რაიკონენი ---------- 25,0	6,0 ---------- 1,35	15,0
ტრული ---------- 12,0	2,8 ---------- 1,17	8,0
ალონსო ---------- 11,0	2,4 ---------- 1,15	7,0
ბატონი ---------- 6,0	1,6 ---------- 1,1	5,0
სატო ---------- 15,0	3,0 ---------- 1,2	12,0
ფიზიჩელა ---------- 100,0	25,0 ---------- 3,5	40,0
მასა ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
უებერი ---------- 100,0	25,0 ---------- 3,5	40,0
კლიენი ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
და მატა ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
პანისი ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
ჰაიდფელდი ---------- 250,0	50,0 ---------- 7,0	75,0
პანტანო ---------- 300,0	50,0 ---------- 7,0	75,0
ბრუნი ---------- 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0
ბაუმგარტნერი ------- 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

მანუჩარ მარკოიშვილი:
თუ საქმეა, საქმე იყოს
ფორმა არსებითი ფორმალობაა



გურამ დოლენჯაველის ფოტო

ქართველ ლეგიონერებს შორის მანუჩარ მარკოიშვილს ცოტა თუ შეედრება მოგებული ტიტულებით. მას იტალიურ გრანდ „ბენეტონთან“ ერთად არაერთი წარმატებისთვის მიულწევია. თავად მანუჩარს თურმე მთელ ამ იტალიურ ტიტულებზე ძვირად წლეულს გერმანულ „მიტელდოიჩერში“ მოგებული ფიბა-ს თასი ულირს... „ამ თასს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ის გუნდთან ერთად ბრძოლაში მოვიგე და არა სკამზე ჯდომით.“ მარკოიშვილს ტრავმიანი სეზონი შეხვდა, მაგრამ საერთო ჯამში მაინც კმაყოფილია...

— ერთი შეხედვით, ჩემთვის განვლილი სეზონი ცუდად დაიწყო. იტალიაში კარგად ნავარჯიშები ჩავედი, მზად ვიყავი, „ბენეტონის“ ძირითადში დასამკვიდრებლად, მაგრამ მაშინვე იდაყვი ამომივარდა.

— ამიტომაც ხომ არ გაგანათხოვრა „ბენეტონმა“?

— არა, ტრავმა მალევე მოვირჩინე და მწყობრშიც ჩავდექი, მაგრამ ამ დროს „ბენეტონს“ ჩავარდნა დაეწყო, ბევრი თამაში წააგო და კლუბის ხელმძღვანელობამაც გუნდის გაძლიერება გადაწყვიტა. აუცილებლად ამერიკელი უნდა ჩამოვიყვანოთო, აიჩემეს ბენეტონელებმა და ასეთ შემთხვევაში არაევროკავშირელთა ლიმიტის გამო მე გუნდის დატოვება მომიხდა.

— კი მაგრამ, შენ არ დაგეკითხნენ, ეგებ არ გინდოდა წასვლა...

— როგორ არა, მაგრამ რომ დავფიქრდი, მივხვდი, წასვლა ჯობდა. მეტი სათამაშო დრო მექნებოდა, რაც გამოცდილებას შემმატებდა.

— რაღა გერმანიაში წახვედი, უკეთესი ვარიანტი არ გქონდა?

— იყო საფრანგეთის ვარიანტი, მაგრამ ცდა სჭირდებოდა და გერმანიაში წასვლა ვარჩიე. სამწუხაროდ, ვეისენფელსში ჩასულმაც მალევე ტრავმა მივიღე და საერთოდ, ეს სეზონი სულ ექიმებთან გავატარე.

— ტრავმებზე აღარ გვინდა. რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი განვლილ სეზონში?

— ჭაბუკთა ნაკრებში მიღწეული წარმატება და პირველი საერთაშორისო ტიტული „მიტელდოიჩერში“. „ბენეტონშიც“ არაერთი ტიტული მოვიგე, მაგრამ ამას სულ სხვა გემო ჰქონდა — სკამზე არ ვმჯდარვარ, ფიბა-ს თასისთვის ბრძოლაში ჩემი ოფლიც დაიღვარა.

— სკამზე რომ არ იჯექი, ამაზე რას იტყვი?

— სწორედ იმიტომ წამოვედი „ბენეტონიდან“, რომ სკამზე ჯდომა არ მინდოდა. მოედანზე ყოფნა კარგია და ბევრს გმატებს, გინდაც საკალათბურთო ბუნდესლიგაში თამაშობდე.

— კონკრეტულად რა შეგემატა?

— გამოცდილება, პირველ რიგში. „მიტელდოიჩერი“ „ბენეტონისგან“ განსხვავებული გუნდი იყო, ინდივიდუალიზმს მეტი გასაქანი ჰქონდა. იტალიელებს კი მანქანასავით აწყობილი გუნდი ჰყავთ, პასის დაგვიანება რა არის, იქ არ იციან. გერმანიაში კი სულ გახსნილი რომ ყოფილიყავი, შეიძლებოდა, მაშინაც არ მოეცათ პასი. ეს კარგია თუ ცუდი, ამაზე მე არ ვლაპარაკობ, საქმე ისაა, რომ კიდევ ერთ ახალი ყაიდის სათამაშო სტილს გავეცანი, რაც აუცილებლად გამომადგება მომავალში, რადგან „ბენეტონი“ ალბათ ისევ გამანათხოვრებს.

— რატომ ფიქრობ?

— იტალიაში ახალი კანონი შემოიღეს, რომელიც გუნდში 3 არაევროკავშირელზე მეტის ყოლას კრძალავს. აქამდე 4 იყო და ფეხი ვერ მოვიკიდე, ახლა კიდევ უფრო გამიჭირდება. თუმც ჯერ ყველაფერი წინაა, ვნახოთ, რა იქნება.

— საქართველოზე გადმოვერთოთ: ჭაბუკთა ნაკრებზე რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა, უმაღლეს შედეგს მივაღწიეთ, აქამდე ჭაბუკთა ნაკრები არასდროს გასულა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე. ეს ძალიან კარგი შედეგია და ვეცდებით, ესპანეთში კიდევ უფრო მეტს მივაღწიოთ, მაგრამ აჯობებს, უფრო მეტი ყურადღება რომ მოგვაქციონ.

— ფედერაციას ამ ზაფხულს ბევრი საზრუნავი აქვს, სამი ასაკობრივი ნაკრები ჰყავს მისახედი...

— ჰოდა, ამ სამში ყველაზე მეტად ჭაბუკები ვიჩაგრებით. კადეტებიც და ეროვნული გუნდიც შეკრებას გაივლიან, ჩვენთვის კი ვერაფერი გამოინახა. არც ვწუწუნებ და არც საყვედურს ვეუბნები ვინმეს, აქამდეც ენთუზიაზმის ხარჯზე მოვსულვართ და კიდევ ვიზამთ რამეს, უბრალოდ, თუ შედეგს გვთხოვთ, ყურადღებაც ხომ უნდა მოგვაქციოთ. სიმართლე გითხრა, ახლა შეკრებაზე საზღვარგარეთ წასვლას აქ, ოჯახში ყოფნა მირჩევნია, რამდენი ხანია, მშობლები არ მინახავს, მაგრამ თუ საქმეა, საქმე იყოს. თუ შედეგი გვინდა, კიდევაც უნდა შევიკრიბოთ.

— აუცილებელია შეკრება?

— სასურველია, მაგრამ ის კი აუცილებელია, გუნდს ფორმის პრობლემა არ ჰქონდეს. მგონი, ახლა ეს პრობლემა მოგვარდა, მაგრამ თავად მისი არსებობაც კი სამარცხვინოა, ჩემი აზრით. რაც უნდა მოხდეს, მე და ჩემი მეგობრები გამარჯვებისთვის მივდივართ ევროპის ჩემპიონატზე და სულ რომ არაფერი გვებადოს, მაინც ბოლომდე დავიხარჯებით მოედანზე.

ირაკლი პერტაია

სტეფანია პორტლენდში რჩება



ვლადიმერ სტეფანია „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში“ კიდევ ერთი წლით რჩება. ასე გადაწყვიტა თავად 28 წლის ქართველმა ცენტრმა. მას „პორტლენდთან“ 1+1 წლიანი კონტრაქტი ჰქონდა. მეორე წელზე გადაწყვეტილების პირადად მიღების უფლებით და ვოვამ ეს უფლება გამოიყენა — ის კიდევ ერთი წელი ითამაშებს „პორტლენდის“ 50-ნომრიანი მაისურით.

არადა, სტეფანიას ყველაზე უიღბლო სეზონი სწორედ „პორტლენდში“ ჰქონდა. „ბლეიზერსში“ 2003 წლის შემოდგომაზე იმედიანად გადავიდა, მაგრამ მხოლოდ 42 თამაშში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 2,6 ქულა და 2,9 მოხსნა მოუგროვდა. თებერვალში მარცხენა მუხლიც დაიშვა და სეზონის დასასრულს ტრავმირებულთა სიაში შეხვდა.

„პორტლენდი“ სტეფანიასთვის ნბა-ში ექვსწლიან კარიერაში მეოთხე გუნდია „სიეტლის“ „ნიუ ჯერსისა“ და „მაიამის“ შემდეგ.

კოტე ყორშია

ასეთი გუნდები ასეთ გუნდებთან ასეთ დროს წაგების შემდეგ ხშირად იშლებიან. წინასწარ ფინალის ფავორიტად მიჩნეულ „ლეიკერსს“ „დეტროიტთან“ 1:4 შერცხვენა იქნებ დაშლად და რეფორმებად დაუჯდეს



დიდი ფილ ჯეკსონი დამარცხებულიც კარგ ხასიათზეა

დაშლა თუ არმოშლა?
ლეიკერსის საფიქრალი ეს არის

...იჯდა ფილ ჯეკსონი უამრავი მიკროფონის წინ ბოლო პრესკონფერენციაზე და როგორც ყოველთვის, ჭაღარა ულვაშებში იღიმებოდა. მას აქამდე ყველა ფინალი მოეგო, რომელშიც გასულიყო და ახლა საიდანღაც გამომხტარ „დეტროიტთან“ 1:4 განადგურდა. რეკორდიც გამოეცალა ხელიდან... ერთი სიტყვით, ათასი მიზეზი არსებობდა იმისთვის, რომ ხასიათი გაფუჭებოდა, მაგრამ იჯდა „ძენ მასტერი“ ბუდასავით უდრტვინველად და ჟურნალისტთა ბასრ კითხვებს იგერიებდა. ირონიულადაც უმზერდა მის წინ შეჯარულ ხალხს, რომლებიც მგონი ფიქრობდნენ, ახლა კი მივამწყვიეთ კედელთან ეს მოუხელთებელი კაციო.

შთაბეჭდილება ერთი შეიძლება დარჩენილიყო, დიდ ფილს დიდად არ განუცდია მარცხი. არც მომავალში დაბრუნებაზე და მე-10 და სარეკორდო ტიტულის შემდეგში მოგებაზე დაუწყია ყინჩი ლაპარაკი. მოვიფიქრებ, დავრჩები თუ არა „ლეიკერსში“ და საერთოდ გავაგრძელებ თუ არა კარიერასო — აი, ასე ილაპარაკა.

...ვერ გეტყვით, შურს თუ არა კობი ბრაიანტს თავისი მასწავლებლისა და ისესხებდა თუ არა მისგან სიმშვიდეს, მაგრამ ერთი ცხადია, „ლეიკერსის“ ვარსკვლავიჭუნა ახლა სულ სხვა დროში და სივრცეში ყოფნას ისურვებდა. თავიდანვე დაინავსა, ძალიან ძვირი დაუჯდა სადღაც კოლორადოს მთებში ჩაკარგული სასტუმროს მოსამსახურე გოგონასკენ გახედვა და გაწევა. მთელი საკალათბურთო სეზონი სასამართლოში წანწალში და ცოლისთვის ცრემლიანი თვალებით ბოდიშის ხდაში გაატარა. თანაც საქმე კვლავაც გრძელდება და ამერიკული პრესა ისევ შეგვახსენებს, რომ მილიონერი და დედამიწის კიდით-კიდემდე განთქმული ვარსკვლავის ხელბორკილები ჯერ არ აუხსნიათ (სიმბოლურ ნათქვამად ჩათვალეთ) და ციხეც ისევ ემუქრება.

არც გუნდში აქვს ყველაფერი მწყობრში. მით უმეტეს კი ურთიერთობა შაკილ ონილთან. აქამდე ამათ შორის მრავალი კონფლიქტი ჩაიფარცხა, რაკი გუნდური ინტერესები ამ ორს ერთმანეთის გვერდიგვერდ ყოფნას ატანინებდა. ახლა კი ბრაიანტი სხვა გუნდში შესაძლო გადაბარგებაზე საუბრობს. არ გამოვრიცხავ, შეიძლება სხვაგან ვითამაშოო — ამბობს. რაც სრულფასოვანი კალათბურთელი გახდა, ბრაიანტს ყოველთვის უბიძგებდა ამბიცია, შაკილ ონილის ჩრდილიდან გამოსულიყო. თუ ციხეში არ გაუშვეს, მალე ალბათ ამასაც გადაწყვეტს.

„წასვლა“, „გადასვლა“ — სულ ეს სიტყვები დატრიალებს „ლეიკერსს“. თუ წასვლაა, ყველაზე იოლად ბეხრეკი კარლ მელოუნი წავა. სულ ერთი მილიონი წლიური ხელფასი ჰქონდა, ამ „ცენტებსაც“ ჩემპიონობის ხათრით დათანხმდა, მაგრამ რაკი ესეც არ გამოვიდა, ის ალბათ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე გავა და საკუთარ 120-კილოგრამიან სხეულს და 20-წლიან გამოცდილებას სხვადასხვა გუნდებს შესთავაზებს. მსურველები ალბათ მაინც ბლომად გამოუჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი ათეული წლისაა და ზურგსუკან 19 უჩემპიონო ანუ წაგებული სეზონი აქვს. პირადად კარლ მელოუნი ამას საკუთარ თავს უდიდეს ნაკლად უთვლის. მაგრამ ის ალბათ მიანც არ დარჩება უგუნდოდ.

„ლეიკერსის“ „დეტროიტთან“ წაგებული ლიდერთა ოთხეულიდან ჯერ მხოლოდ გერი პეიტონი იკავებს თავს რაიმეს თქმისგან. სიმართლე ითქვას, სათქმელიც არაფერი აქვს, ყველაზე მეტად იგი ჩაფლავდა ფინალში. მაგრამ პეიტონზე თავად დევშაკი საუბრობს, „ჩვენ გვჭირდება მისი გამოცდილება“. საინტერესოა, როგორი მომავალი სეზონი ექნება პეიტონს? ამ ფინალებში მან ერთხელაც ვერ ჩააგდო თუნდაც 10 ქულა, არადა ცხოვრებაში ლამის 20 ქულას იხვეჭს საშუალოდ მატჩებში. იმის ძალა კი ექნება პეიტონს, რომ შაკს ერთი-ორი პასი მიაწოდოს, ვთქვათ, უკბილო „კლიპერსთან“ შეხვედრაში. რაც შეეხება ჩემპიონობას, ამ მატარებელმა ალბათ უკვე ჩაიარა გერისთვის.

შესაძლოა „ლეიკერსის“ მატარებელიც კი ჩავლილი იყოს.

კოტე ყორშია

ზოგიერთი რამ ზოგ დეტროიტელზე

აი, ამ ბიჭებმა აიღეს და „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ გაანადგურეს, ისე, რომ მხოლოდ ერთი მატჩი დაუთმეს. ჩვეულებრივმა კალათბურთელებმა აჯობეს ცხვირანეულ ლოსანჯელესელებს. მწვრთნელს დაუჯერეს, მოინდომეს, ჯიგრით ითამაშეს, ერთმანეთს პასი არ დაუგვიანეს, ელდას აჯობეს, უკეთესი კალათბურთი ითამაშეს და უძლეველს სძლიეს

ჩონსი ბილაფსი

შვიდ სეზონში გამოიცვალა ხუთი გუნდი

არ უთამაშია ოლ სტარში

დაასახელეს ფინალის უძვირფასედ მოთამაშედ, მაშინ როცა ფინალში ექვსი ოლსტარელი და ამერიკის ნაკრების ორი ყოფილი მოთამაშე თამაშობდა

უსმენს თუფაქს და ჯეი-ზის

გიჟდება მეჯიქ ჯონსონზე



ბენ ვოლესი

დრაფტი არ გაუვლია, რადგან მისით წინასწარ არავინ დაინტერესებულა

სკოლაში კალათბურთზე უკეთესად თამაშობდა ამერიკულ ფეხბურთს და თითქმის უკეთესად ბეისბოლს

საჯარიმოებს შაკილ ონილზე ცუდად ესვრის

11-შვილიან ოჯახში მეათეა

უყვარს ნადირობა, თევზაობა და ცურვა



რიჩარდ ჰამილტონი

სრული სახელი: რიჩარდ კლეი ჰამილტონი, მეტსახელად „რიპ“

გუნდში ყველაზე გამხდარია



რაშიდ ვოლესი

აქვს საკუთარი გადაცემა რადიოტალღაზე 95.5

საყვარელი სპორტსმენები ჩარლზ ბარკლი და ანდრე აგასი

ბარკლის ჩამოართვა ერთ სეზონში გამომუშავებული ტექნიკური ჯარიმების რეკორდი

ქომაგობს ყველა ფილადელფიურ გუნდს გარდა საფეხბურთო „იგლზისა“

სანამ ორ მეტრს ასცდებოდა, სკოლის დროს დარბოდა და ვარჯიშობდა სიმაღლეზე ხტომაში

არის ვიდეოთამაშების თავგადაკლული მოყვარული

ტაიშონ პრინსი

აქვს სამეცნიერო ხარისხი სოციოლოგიაში

ძალიან გრძელი ხელები აქვს



მეჰმეთ ოქური

მირსად თურქჯანისა და ჰიდაიეთ თუროღლუს შემდეგ ლიგაში მესამე თურქია



ლინდსი ჰანტერი

კარიერა „დეტროიტში“ დაიწყო და აქ ითამაშა კარიერის პირველი შვიდი სეზონი (1993-2000), 2002 წელს კი პირველად „ლეიკერსში“ გახდა ჩემპიონი

ელდენ კემპბელი



მეტსახელად „იზი“ (იოლი)

ეთაყვანება ჯულიუს ირვინგს და ჯორჯ გერვინს

პირველი ცხრა წელი „ლეიკერსში“ თამაშობდა და 1999 წელს „შარლოტში“ გაცვალეს

ამბობს, სპორტსმენი რომ არ ვყოფილიყავი, დამკაბადონებელი ვიქნებოდიო

დარკო მილიჩიჩი

უყვარს პური, მაგრამ ვერ შეიყვარა ამერიკული სამზარეულო

„დეტროიტში“ ყველაზე მაღალია (213 სმ) და უსარგებლო

ჯო დუმარსის აზრით, ის ლეგენდარული მოთამაშე გახდება

მისი სეზონის და ნაბური კარიერის რეკორდია ერთი თამაშში გაკეთებული 6 ქულა

კორლის უილიამსონი

იწონის ოთხ ერთიანს (111,1 კილოგრამს)

მეორე კურსზე უნდა ეთამაშა სპექტაკლ „რომეო და ჯულიეტაში“ რომეოს როლი, მაგრამ მისმა გუნდმა მოულოდნელად მოიგო და მომდევნო თამაში სპექტაკლს დაემთხვა

დერვინ ჰემი

არ დაუმთავრებია სკოლა

კარგად ტენის, მაგრამ ცუდად თამაშობს



დეტროიტი პლეი ოფში

	თამ	თ/ს	წთ	მოხ	პასი	ჩაჭ	დაფ	ქულა
რიჩარდ ჰამილტონი	23	23	40,2	4,6	4,2	1,2	–	21,5
ჩონსი ბილაფსი	23	23	38,3	3,0	5,9	1,4	0,1	16,4
რაშიდ ვოლესი	23	23	35,0	7,8	1,6	0,6	2,0	13,0
ბენ ვოლესი	23	23	40,2	14,3	1,9	1,9	2,4	10,3
ტაიშონ პრინსი	23	23	34,6	6,0	2,3	1,1	1,4	9,9
ჯორლის უილიამსონი	22	0	14,9	2,2	0,7	0,3	0,1	5,7
მეჰმეთ ოქური	22	0	11,5	2,8	0,4	0,2	0,4	3,7
მაიკ ჯეიმსი	22	0	8,9	1,2	1,1	0,2	–	2,6
ლინდსი ჰანტერი	23	0	11,9	1,4	0,9	0,8	0,2	2,4
ელდენ ჯემპბელი	14	0	8,9	1,8	0,7	0,4	0,6	2,1
დერვინ ჰემი	21	0	5,1	0,7	–	0,1	0,2	0,8
დარკო მილიჩიჩი	8	0	1,8	0,4	0,1	0,1	–	0,1

თამ — თამაში, თ/ს — თამაში სასტარტოში, წთ — წუთი საშუალოდ თამაშში, მოხ — მოხსნა, ჩაჭ — ჩაჭრა, დაფ — დაფარება

ბადრი კეთილაძის ფოტო

დღეს სალამოს სპორტის სასახლეში ქართველ ფრენბურთელ ქალთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მესამე ტურში ჯგუფის ფავორიტ სლოვენიას დაუპირისპირდება. მესამე ტური ნუგზარ მიქა□ის შეგირდებისთვისაა, თორემ სლოვენიელებმა სამი თამაშის ჩატარება უკვე მოასწრეს და სამივე მოიგეს, თანაც ისე, რომ ვერც ერთმა მეტოქემ ვერ გაუწიათ ღირსეული წინააღმდეგობა

მაშა, მაშა! არის მაშა

ფრენბურთელთა ნაკრები ლეგიონერებით ივსება

საქართველოს ნაკრები შვედეთთან სპორტის სასახლის დრამატული მატჩის მერე მოლდოვას ესტუმრა და 0:3 წააგო. მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგულია. საამისოდ ბრძოლა რომ შეუძლებელი იქნებოდა, ყველამ თავიდანვე იცოდა, თუმც მიმდინარე ციკლში, რომელიც ორ წრედ ჩატარდება და მომავალი წლის ბოლოს დასრულდება, ჩვენი გუნდის უმთავრესი ამოცანა მაქსიმალურად შეთამაშება და საერთაშორისო გამოცდილებით შემარაგებაა. შემადგენლობაც საკმაოდ ახალგაზრდულია, პერსპექტივაზე ფიქრის საშუალებას იძლევა.

ნაკრები დღითი-დღე უმჯობესდება და გარწმუნებთ, მეორე წრეში გაცილებით უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე პირველში — გვითხრა რამდენიმე კვირის წინ მოლდოვადან დაბრუნებულმა მიქაძემ. გუშინ მისმა სამწყსომ სპორტის სასახლეში წაიგარჯიშა და მწვრთნელმა ზემოთ ნათქვამი ერთხელაც გაგვიმეორა: „შვედეთთან მატჩისწინა შეკრების შემდეგ სასიკეთო ცვლილებები აშკარაა. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ გუნდი უკეთესადაა შეთამაშებული. სასურველ შედეგამდე ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ პოტენცია არსებობს და იმედიანადაც ამიტომ ვარ.“

შეგირდებთან შეხვედრამდე მიქაძე მეტოქეს ეარჯიშა — ალბერტ და მასზე გარკვეული წარმოდგენის შექმნაც მოასწრო.

„სალიდანი ახალგაზრდებია და კომპლექტებული, თუმც საოცრად ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. შვედეთზე და მოლდოვაზე ბევრად ძლიერია და იოლადაც დაამარცხა ისინი. მოუგო ხორვატიასაც, რომელსაც კვირას ვმასპინძლობთ. წინ უძძიესი თამაშები გველის, მაგრამ თუ ვიბრძოლებთ, შედეგსაც მივაღწევთ. პირველ შეხვედრაშიც არავინ ელოდა სკანდინავიელებთან ტოლსწორ თამაშს, მაგრამ მონდომებით და ხალხის მხარდაჭერით მაქსიმუმი გავაკეთეთ. ახლა ცოტა უკეთესი ნაკრები გვყავს. მხარდაჭერაც, იმედია, არანაკლები იქნება.“

გუშინდელ ვარჯიშზე ნაკრების რიგებში უცნობი სახე შევნიშნეთ. მშვენიერი აღნაგობის ქალბატონი სერბეთში მოთამაშე ლეგიონერი აღმოჩნდა. ვიქტორია რავასი არ იყოს, მაშა ცარენკოს ფრენბურთის თამაში გლდანში დაუწყია და უკვე ჩამოყალიბებულ სპორტსმენს კარიერა საზღვარგარეთ გაუგრძელებია. საქართველოს ნაკრების დაარსების შესახებ კი ტელეფონით შეუტყვია თბილისში მცხოვრები მშობლებისგან, საქართველო-შვედეთის შეხვედრის შემდეგ და ჩამოსვლის სურვილი გამოუთქვამს. მაშას დებიუტი დღეს შედგება. სავარაუდოდ იგი ძირითად შემადგენლობაში იქნება.

შეხვედრა სპორტის სასახლეში ექვსის ნახევარზე დაიწყება. მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის უფასო იქნება.

ოთარ მაღლაკელიძე

ფავორიტთა საბადური

უიმბლდონის დონეები



როჯერ ფედერერი

როგორც საქმეში თუნდ ჩაუხედავ მკითხველსაც მოეხსენება, მომავალი ორშაბათიდან ლონდონურ სეფეკოინდარზე წლის საზეო სლემტურნირი უნდა დაიწყოს. წინასამტურნირო მიმოხილვასა და ორსავე ბადეს ორშაბათისავე ნომერში გაახლებთ, ახლა კი გვსურს მსუბუქად წავისაუბროთ ფავორიტთა „საბადო“ პერსპექტივების შესახებ.

მაშ ასე — კაცთა ნაწილისყრევის ყველაზე გამოსარჩევი მონაკვეთი ზედა ოცდათორმეტეულია, რომელშიც უიმბლდონობის ბოლო სამი გამარჯვებული მოექცა. თუკი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეს ლოგიკასა და რეიტინგსიას შეესაბამება, შარშანდელი ჩემპიონი და მთავარგანთესილი როჯერ ფედერერი მეოთხედფინალში ალბათ შარშანწინდელ ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტს უნდა შეხვდეს. არ არის გამორიცხული, ლეიტონი მანამდე ორი წრით ადრე გადაეყაროს ტურნირის 2001 წლის ჩემპიონ გორან ივანიშევიჩს, რომელიც — ბარემ ამასაც შეგახსენებთ და — სანამ ამ ტიტულს მოიხვეჭდა, სამჯერ ფინალში იძლია.

სხვათა შორის, ჰიუიტს — თუკი მან პირველ წრეში ავსტრიელი იურგენ მელცერი დაამორჩილა — მეორეში ეგებ ჩვენიანი ირაკლი ლაბაძეც ერკინოს. ქართველს ტურნირის სტარტზე ბელგიელი კრისტოფ ფლიგენის სახით არცთუ ძალზედ სერიოზული დაბრკოლების გადალახვა მოუწევს.

და კიდევ — იმავე ზედა მეოთხედში არიან მსოფლიოს პირველოსანყოფილნი მარატ საფინი და კარლოს მოიაც. პირველი ჰიუიტის მხარესაა, მეორე — ფედერერის.

ისე, მას შემდეგ, რაც ანდრე აგასიმ ბარძაყის ტრავმის გამო ტურნირზე გამოსვლა იუარა, ფედერერი, ივანიშევიჩი და ჰიუიტი ბადეში დარჩენილთაგან უიმბლდონის მომგები სამად-სამი მეჩოგნეა.

შედარებით იოლი გზა ელის ბრიტანელთა მთავარიმედ ტიმ ჰენმანს. ის მეხუთე ნომრად არის განთესილი და თავის ოცდათორმეტეულში ყველაზე სახიფათო მეტოქედ 2002 წლის ფინალისტი, მისდარად გასული როლანგაროსობის ნახევარფინალისტი დავიდ ნალბანდიანი ეგულება.

ნალბანდიანის ძლევისას კი მას ნახევარფინალში ვინძლო ენდი როდიკი დახვდეს, ვინაც წინა კვირაში წარმატებით დაიცვა ქუინზკლაბური ტიტული და საერთოდაც კი ქელფეთა ფორმაში უნდა იყოს.

ქალთა მხარეზე პირველ ნომრადაა განთესილი ორგზის ტიტულდამცველი სერენა უილიამსი. ვინუსის უმცროსი დაიკო რეიტინგსიაში ახლა მხოლოდ მეათე ადგილზე დგას, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ წინა ორი წლის ჩემპიონია და ასევე იმის გამოც, რომ ამქრის ბელგიელი პირველმეჩოგნენი — ჟუსტინ ენენი და კიმ კლაისტერსი ტურნირს აკლდებიან — ხელთ მაინც მთავარგანთესილის ჩოგანი ეპყრება.

მეოთხედფინალში მას სავარაუდოდ ისევ ჯენიფერ კაპრიატისთან მოუწევს დავა. ისეთ-ჩვენთქი, რომ ვამბობთ, ამით იმის შეხსენება გვსურს, რომ ორი კვირის წინ გასრულებულ როლანგაროსობაზე მათ ასევე მეოთხედფინალში იპაექრეს და გამარჯვებული მაშინ ჯენიფერარი დარჩა.

ხოლო, რაკიღა სერენას უფროსი დაიკო ვინუსი ბადის ქვედა ნახევარშია განთესილი, შესაძლოა, ზედიზედ მესამედ ვიხილოთ მათი შიდადური ფინალი. არ დაგავიწყდეთ, სანამ ლონდონურ კოინდარზე სერენა გაილაღებდა, ორი (2000 და 2001) წლის განმავლობაში ვინუსს იქ მოცილე არ ჰყავდა.

ენდი როდიკი

ანუ — სხვა სიტყვით — მამა რიჩის ასულებს უკვე ოთხი წელია, უიმბლდონური სეფეხონჩა ჩოგნიდან არ გაუგდიათ.

რაც შეეხებათ როლანგაროსულ ფინალში ერთმანეთს დაპირისპირებულ ანასტასია მისკინასა და ელენა დემენტიევას, ისინი ხელახლა ალბათ მეოთხედფინალში იბურღავებენ.

სხვაფრივ — ქომაგს ისევ მიეცემა შესაძლებლობა, კორტზე იხილოს ტურნირის ცხრაგზის გამარჯვებული, 46 წლის მარტინა ნავრატილოვა. კენტად ის უიმბლდონზე 1994 წლის ფინალის შემდეგ აღარ გარჯილა და თავის გაუთავებელ უიმბლდონურ მარტინადას პირველ წრეში უსახელო კოლუმბიელ კატალინა კასტანოსთან დავლურით დაიწყებს.

დანარჩენი ორშაბათს იყოს.

ლევან კელაურაძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge